საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 10 სექტემბერი, 2014 წელი.

№183 (7564)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბეჭდვები სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ყველა ანდრო ან მიშა ხომ ვერ იქნება!..

②

ვინ იყო იგი, მესხელი, „ხერხემალო“?

გიგის ეაპოკალიფსება,

ანუ ჯოჯოხეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე!

④

◎ ნეპოტიზმი

⑤

მერაბიშვილის სიდედრი მერიის „დაუსწრებელი“ განყოფილებიდან „გარიცხეს“

რა ქნას „პეპელამ“, „ნაცებო?“

⑦

ყველამ კარგად იცის, ნაციონალებს რა მუცლის გვრემაც აწუხებთ

◎ დღის ამოკითხული

სიღნაღში გაგონილი და ჩაწერილი

— ნაციონალებს ავად მიბმული შავი კუდი ლევან ბეჟაშვილი რატომღაც იმ კუს მაგონებს, ფეხი რომ გამოყო, მეც ნახირ-ნახირო... მაგან თავის ჩასვრილ საქმეებს მიხედოს, ჯერ სიღნაღში გუბერნატორად ყოფნისას და მერე კონტროლის პალატის უნიათო თავმჯდომარეობისას რომ დატოვა... იმედია, პროკურატურა მაგას, თავის ზონდერ ამორძალ ნათია მოგელაძესთან ერთად, მალე დაუძახებს და, თუ ბიჭია, მერე გაიბრტყელოს ენა, როგორც ნაციონალების ერთ-ერთმა თვალსაჩინო რუპორმა, ძებნილი ექს-პრეზიდენტის კუთვნილი იდეოლოგიური ტყუილმფრქვევიდან — „რუსთავი-2“-ის ქვეყნის გამშავებელი ეკრანიდან.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

მასწავლებლის ხელფასი 2016 და 2017 წლებშიც მზარდი იქნება

2015 წელს მასწავლებლის სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება დაიწყება. ამის შესახებ პედაგოგებთან შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა.

ირაკლი ღარიბაშვილმა პედაგოგებს განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეები გააცნო და აღნიშნა, რომ 21 სპეციალობაზე უმაღლესი განათლების მიღება უფასო გახდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ განსაკუთრებით გვჭირდება კონკრეტული დარგების განვითარება, და ვამაყობ, რომ სწორედ ჩვენი მთავრობის ძალისხმევით ნიჭიერ და მონდომებულ ახალგაზრდებს ეძლევათ საუკეთესო საშუალება, უფასოდ მიიღონ განათლება ისეთ სპეციალობებში, რომლებიც მართლაც ძალიან საჭირო და პერსპექტიულია. 2013-2014 წლებში სოლიდური დაფინანსება მიიღეს დოქტორანტმა სტუდენტებმა. ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა განათლების საერთაშორისო ცენტრი, სადაც მოხდა რესურსების კონსოლიდაცია, რათა რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდას მისცემოდა საზღვარგარეთ განათლების მიღების საშუალება“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, განათლების ცენტრმა მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში 77 სტუდენტის სწავლება უკვე დააფინანსა. მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ასევე პროფესიული განათლების მხარდაჭერა, რომელიც სახელმწიფომ ასევე სრულად დააფინანსა და ამ სფეროს მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

„მხოლოდ მაღალკვალიფიციურ და მოტივირებულ მასწავლებლებს შეუძლიათ მოსწავლეებისათვის საუკეთესო ცოდნის მიცემა. მხოლოდ პროფესიონალ პედაგოგებს შეუძლიათ ისეთი მომავალი თაობის აღზრდა, რომელიც იქნება მაქსიმალურად რეალიზებული და წარმატებული. ამიტომ, მივესალმები ძალიან დროულ და მნიშვნელოვან წამოწყებას, რომელიც ორიენტირებულია პედაგოგის მხარდაჭერასა და პროფესიულ განვითარებაზე. მე დიდი იმედი მაქვს, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალი სისტემა ახალ პერსპექტივას შექმნის ჩვენი ქვეყნის განათლების სფეროში“, — დასძინა ღარიბაშვილმა.

◎ რიტორიკული კითხვები

1. ყველა ანდრო ან მიშა ხომ ვერ იქნება!..

უფროსი თაობის ადამიანებს უთუოდ ეხსომებათ და ბევრი რამეც ექნებათ გაგონილი ანდრო ჟორდანიაზე — საოცარი ნიჭით დაჯილდოებულ მწვრთნელსა და სელექციონერზე, როგორც იტყვიან, ერთი შეხედვით, კოჭებში რომ ატყობდა დიდ ნიჭს ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავებს...

ანდრო ჟორდანია ფეხბურთელებთან

ახლახან ტელევიზიით ახალგაზრდა კაცს ვუსმენდი — მერიის ერთ-ერთი საქალაქო სამსახურის უფროსის ყოფილ მოადგილეს (გვარი არ მახსოვს), **— დაუმსახურებლად, უდანაშაულოდ გამათავისუფლეს, ჩემს ადგილას კი სრულიად გამოუცდელი ახალგაზრდა კაცი დანიშნეს, რომელსაც შრომის წიგნაკი, ვგონებ, სწორედ აქ გაუხსნეს, და რომლის ერთადერთი დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ იგი ვიცე-პრემიერის კახა კალაძის ცოლის ძმააო,** — ამბობდა.

არ ვიცი, რამდენად მართალი და ობიექტური იყო, მაგრამ ყველა ხომ „ვერ იქმს თორნიკობას?“ ანუ ყველა ხომ ვერ იქნება, ჩემო იმანო ნაციონალებო, კადრების შერჩევისას ანდრო ჟორდანიას „ყნოსვის“ მქონე და შეუმცდარი?

თუმცა, ანდრო ჟორდანია ფეხბურთში იყო ასეთი, **პოლიტიკაში კი ამგვარივე გუმან-ალღოს პატრონი და მომავალი ხელმძღვანელების შერჩევა-დაწინაურებაში** (ეს კი, გეხსომებათ, ყოველგვარი ანგარებისა თუ ზეწოლა-ქვეწოლის ქვენაგრძნობისგან დამოუკიდებლად კეთდებოდა!) **შეუმცდარი გადაწყვეტილებების მიმღები, მხოლოდ და სწორედ მიშა სააკაშვილი იყო!**

სააკაშვილი თანაპარტიელებთან

ვინმე ხომ არ გეცნობათ?

> **მხოლოდ მას შეეძლო, უცხო ქვეყნის რომელსამე კაფეში ენახა, ვთქვათ, მაგიდაზე მოცეკვავე ოცდახუთიოდე წლის ლამაზი ქალი და, ანდროს დარად, ერთი შეხედვით, ოლონდ ოდენ კოჭებში კი არა, ბარძაყებში ერთი შეხედვითაც შეეტყო, რომ იგი უთუოდ კარგი ხელმძღვანელი იქნებოდა. თანაც რომელიმე საწარმოსი ან საქალაქო სამსახურისა კი არა, მთლიანად დარგისა** (ხომ ვერ გვეტყვით, ჩვენო იმანო ნაციონალებო, საჯარო თუ კერძო სამსახურში მუშაობის რამდენწლიანი სტაჟი ჰქონდათ ამ უგამოცდილესი „საკადრო კოლექციონერის“ მიერ შერჩეულ ასეთ ხელმძღვანელებს?).

ასე შეუმცდარად, მხოლოდ დამსახურებისამებრ და სწორედ ქვეყნის ინტერესების შესატყვისად შეირჩეოდა ხელმძღვანელი კადრები ნაცთა ზეობისას.

ახლა კი!

მაგრამ რას ვიზამთ, ყველა ანდრო ან მიშა ხომ არ იქნება?

თუმცა, „გულს ნუ გაიტეხ, ბაჩუკი!“ ანუ ყურებს ნუ ჩამოყრი, ჩემო მკითხველო! იქნებ ყველაფერი გამოსწორდეს იმის გათვალისწინებით, რომ დავით ნარმანია ნიჭიერი და წესიერი ახალგაზრდა კაცია!

2. ვინ იყო იგი, მესხელი, „ხერხემალო“?

ამ ბოლო დრომდე, ერთი „ვინმე მესხი მელექსე“ ვიცოდი, რომელმაც, როგორც მიშა სააკაშვილმა თავის დროზე ახალციხეში, რაბათის ციხის გახსნისას ტელევიზიით გვითხრა, „კარგი ლექსი დაწერა“, მეორე მესხელის არსებობა (დიახ, მესხელის, და არა მესხის) კი ამ ათიოდე წლის წინათ შევიტყვე, როდესაც იგი, თავისი ახლობელი, უმაღლესდაუმთავრებელი, სამართლადამცავ ორგანოებში ნამუშევარი კი არა, ჯარშიც არნამსახურები, მაგრამ, სამაგიეროდ, როგორც ავი ენები ამბობენ, ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მუშაობით გამოწრთობილი, ქვეყნის მომავალმა „ხერხემალმა“ შინაგან საქმეთა სამინისტროში თავის მოადგილედ მიიყვანა და უშიშროების სფეროს კურატორობა დაავალა (მომავალი „ხერხემალიც“, სააკაშვილის დარად, შეუმცდარი „სელექციონერი“ რომ იყო, ამითაც კარგად გამოჩნდა).

ახლა თქვენ გეკითხებით, ჩვენო იმანო ნაციონალებო, შინაგან საქმეთა სამინისტროში საკადრო პოლიტიკას და პოლიციის მუშაობას რომ იწუნებთ, **ამ ფაქტს როგორ შეაფასებდით?**

ან პოლიციას რეიდების ჩატარების გამო რომ უკიჟინებთ, რა ქნას, არ იმუშაოს? თანაც იმასაც ხომ არ გაიხსენებდით, ყოველგვარი რეიდების გარეშეც **როგორ ხოცავდნენ თქვენს დროს ქუჩაში ახალგაზრდებს?**

ვაჰ, სირცხვილო, შენს უნამუსობა-უსირცხვილობას რა ვუთხარი!

უნამუსო სირცხვილზე ვამბობ ამას, ჩემო იმანო ნაცებო, თორემ განა თქვენზე!

რუსლან რუსია

ნაცების მაპზე უკეთესიდან, ქოცების ახალ ლიგამდე!..

ძართველი საზოგადოების დაბოლებას ახალი ხელისუფლებაც ძველებურად განაგრძობს. თუმცა, ძველებურად იყოს, დიდი შეღავათი იქნებოდა – ქოცებმა ამ მიმართებით, რომ იტყვიან, აშკარად მოუჯოკრეს ნაცებს! თავად განსაჯეთ – თუ ნაცების ხელში, აგვისტოს ომის შემდეგ, მაპზე უკეთესს, ნატოს ასპირანტობას გამოვკარით ხელი, ახლა უელსიდან, რომ იტყვიან, „ნა ვკუს, ნა რაზრეზო“, ისე გვაქვს საქმე:

ალექსი პეტრიაშვილის მიერ აქ, თბილისში „საიდუმლოდ დაანონსებული“ – „უელსიდან ნატო გემრიელად გამომცხვარ, მოულოდნელად გემრიელ ორცხობილას გამოგვატანსო“, გნებავთ თუ იმავე ალექსის მიერ ნიუპორტიდან სამახარობლო „ოქროს ბარათი“, რომელიც, თურმე, ჩვენ იორდანია-შვედეთ-ავსტრალია-ფინეთთან ერთად, ანუ უელსის სამიტის შესანიშნავი ხუთეულის ფორმატში მოგვანიჭეს. არც ეს გვაკმარეს სასიხარულოდ და ირაკლი ალასანიამ, ნატოს „ახალ ლიგაში“ გადავედითო!

მოკლედ ისღა დაგვრჩენია გივი ბერიკაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე კინოგმირივით ხელები გავშალოთ და „ვაა, კაცოო, რა საინტერესოა პირდაპირ, როგორ მაიფიქრებენ ხოლმე ეგეთ რამესაო“, ამოვიოხროთ...

და ეს ყველაფერი გამძვინვარებული, ყალყზე შემდგარი რუსული დათვის ფონზე. რუსეთისა, რომელსაც ყირიმის „ანშლუსის“ შემდეგ, როგორც იტყვიან, „ზადნი“ აღარა აქვს! მაგრამ ამაზე ქვემოთ...

რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, უელსის სამიტზე საქართველოს საშინაო პრობლემატიკა თვალნათელი გახდა, ანუ აღარავისთვის არის საიდუმლო ჩვენი სახელისუფლებო შიდა დაპირისპირების ნამდვილობა!

და კიდევ, ამ ფარულ დაპირისპირებაში (რასაც პირობითად პრემიერ-პრეზიდენტის გუნდების დაპირისპირება შეიძლება ვუწოდოთ) თუ აქამდე, როგორც წესი, ირაკლი ღარიბაშვილი იმარჯვებდა, ნიუპორტში პირველი გამარჯვება პრეზიდენტ მარგველაშვილის თამადობით, ამერიკის ერთგული მონების, გნებავთ, აშშ-ის გავლენის აგენტების გუნდმა იზეიმა – საქართველოს დელეგაციაში არ იყო არც ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომელიც პრემიერ ღარიბაშვილის კაცად მოიაზრებოდა. ამას დაუმატეთ ისიც, რომ კრიმინოგენური ვითარების „გამწვავების“ გამო თინა ხიდაშელიც შეუერთდა ნაცების კრიტიკას და ღიად დაარტყა შს მინისტრ ჭიკაიძეს (წაიკითხეთ იგივე ღარიბაშვილს) და გაზეთის ბოლო ნომერში გამოთქმული შიშები, რომ ზემოთ ხსენებული გავლენის აგენტები, პლუს ნაციონალ-რესპუბლიკელები, ანუ აშშ-ის სპეცსამსახურების არა მხოლოდ გავლენიანი, არამედ უფრო მარტივად, სტაჟიანი თანამშრომლები და ჩვენში მოარული ხმები, რომ თბილისშიც მზადდება კიევის ევრომაიდანი, ანუ სააკაშვილის რეჟიმის რესტავრაცია, არც თუ უსაფუძვლოდ მოგვეჩვენება!

მოვლენათა ასეთი ვარიანტით განვითარების შედეგების განჭვრეტა რთული არ არის – თბილისში დაწყებული დესტაბილიზაცია უმალ მოედება, უკრაინისგან განსხვავებით, პატარა საქართველოს და, რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანსო, ასე იქნება. არეულობით ისარგებლებენ ჩვენი მეზობლები და... ჰოდა, შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოს ტერიტორიული პრეტენზიები ვეღარავისთან ექნება და მაშინ ნატოში შესვლას ხომ თავისთავად გვახარებს ვინმე და შეიძლება ევროკავშირის „ცოლობასაც“ კი გამოვკრათ ხელი...

ერთადერთი გლობალური ხელშესახები შედეგი უელსის სამიტისა ის გახლავთ, რომ უკრაინაში საომარი მოქმედებები დროებით შეწყდა. თუმცა, ეს დაზავება, რომ მეტად მყიფეა და ნებისმიერ დროს შეიძლება დაირღვეს, ამას დღემდე არსებული კანტიკუნტი სროლებიც მოწმობს.

ისიც ცხადია, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენების მთავარმა სცენარისტმა და სპონსორმა აშშ-მა, ჰუმანური მოსაზრებების გამო კი არ დართო ნება უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს, რომ პუტინის სამშვიდობო გეგმას დათანხმებოდა, არამედ იმიტომ, რომ უკრაინას ჯარი უბრალოდ „გაუთავდა“ – ივლისის შემდეგ, როდესაც საომარ მოქმედებებში უპირატესობას პრორუსი მებრძოლები დაეუფლნენ, დღეს უკრაინის ე.წ. ნაციონალური გვარდია პრაქტიკულად განადგურებულია. თორემ მანამდე კარგად გვახსოვს, როგორი ფართოდ „დახუჭული თვალებით“ უყურებდა დასავლეთის „დემოკრატია“ სამხრეთ-აღმოსავლეთ უკრაინის მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტას, როგორ აგულიანებდნენ სამთავრობო ძალებს ოკეანის გაღმიდან – რაც უკრაინაში ხდება, ეს მისი საშინაო საქმეა და კიევს ძალის (მათ შორის ტანკების, ავიაციის თუ კასეტურ-ფოსფორული ბომბების) გამოყენების ლეგიტიმური უფლება აქვს სეპარატისტების წინააღმდეგო.

დღეს, ვიმეორებ, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება შეიქმნა – დონბას-ლუგანსკის ე.წ. „ოპოლჩენიე“ თავდაცვიდან შეტევაზე გადავიდა. ამბოხებულთა წარმატების მიზეზი, რა თქმა უნდა, რუსეთის დახმარებაც არის, რაც, ალბათ, იარაღის, სამხედრო ტექნიკის მიწოდებას არ სცილდება, რადგან ჯერჯერობით ვერავინ დააფიქსირა დოკუმენტალურად რუსეთის არმიის შეჭრა უკრაინაში – იქ ძირითადად რუსი მოხალისეები იბრძვიან და მათი წარმატების მთავარი მიზეზიც ამ „ხალისშია“ – ამბოხებულებს თუ მათ დასახმარებლად მოსულ მოხალისეებს თავგანწირვის, ბრძოლის იდეური მოტივაცია აქვთ, რისგანაც აბსოლუტურად დაცლილნი არიან მხოლოდ დოლარების მოტივაციის მქონე სამთავრობო ძალები და ამიტომაც ბარდებოდნენ „პაჩკა-პაჩკა“ ტყვეებად „სეპარატისტებს“.

თუმცა, მოდით პირდაპირ ვთქვათ მთავარი მიზეზი: ამერიკელების მარცხისა უკრაინაში ის არის, რომ მათ სუსტად იციან ისტორია (თუნდაც ობამას ოპუსი რად ღირს XIX საუკუნეში რუსეთის მიერ დაკარგულ ტერიტორიებზე), ან თუ იციან, არ ითვალისწინებენ მის გაკვეთილებს, თორემ...

უკრაინა, არც „პრიბალტიკაა“ და მით უმეტეს, არც პოლონეთი, სადაც გავლენების დაკარგვას ასე თუ ისე შეეგუა (?) რუსეთი, მაგრამ უკრაინა? რამდენიც არ უნდა ამტკიცონ საპირისპირო ნაცისტებმა და მათმა დასავლელმა მფარველებმა, უკრაინელები და რუსები პრაქტიკულად ერთი ხალხია, საერთო ეკლესიით, კულტურითა და ისტორიით. ამიტომ უკრაინაში დღეს სამოქალაქო ომია და არა სამამულო, რასაც გაჰყვირის უკრაინის თუ დასავლეთის პროპაგანდისტული მედია.

აქედან გამომდინარე, რუსეთი ვერ და არ შეურიგდებოდა დასავლეთის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ექსპანსიას უკრაინაში, ანუ იგივე ისტორიულ „ნოვაროსიაში“ და აკი, არც შეურიგდა – ჯერ კლასიკური „ანშლუსი“ უყო ყირიმს, სევასტოპოლს და „ისკონნო როსიისკი“ ტერიტორიები დაიბრუნა და, როგორც ჩანს, სამუდამოდაც. თუნდაც იმიტომ „როგორც ჩანს“, რომ ამ თემას ისე ყასიდად და კანტიკუნტად თუ ახსენებენ ამერიკელები, რადგანაც იციან, რომ ყირიმს რუსეთი არავითარ შემთხვევაში აღარ დათმობს!

და კიდევ, ამერიკელებს დაავიწყდათ, რომ რუსეთი თავის მოკავშირეებს არასოდეს ღალატობს (აფხაზეთი, ცხინვალი, სომხეთი, დნესტრისპირეთი და ა.შ.) და თუ საჭიროა, ნატოსგან განსხვავებით სამხედრო ძალითაც იცავს მათ და მით უმეტეს ვერ მიატოვებდა მილიონობით ეთნიკურ რუსს თუ პრორუსულად განწყობილ უკრაინელებს დონბას-ლუგანსკში!

ერთადერთი, ვინც ვერ დაიცვა რუსეთმა, ეს ბალკანეთში მისი ისტორიული მოკავშირე, ერთმორწმუნე სერბეთი იყო. ვერ დაიცვა, რადგანაც მაშინ თავად რუსეთი იყო დაჩოქილი, თორემ, ამერიკელები ვერ შეძლებდნენ ვერც იუგოსლავიის დაშლას და მით უმეტეს – სერბეთის დაბომბვას.

ტყუილად არ შენიშნა მოსწრებულად ერთმა დასავლელმა იდეოლოგმა, რომ „რუსეთი, უკრაინასთან ერთად, ამერიკისთვის გლობალური პრობლემაა, ხოლო მის გარეშე მხოლოდ რეგიონალური“

და ყველაზე მთავარი არ გაითვალისწინეს დასავლელმა „დემოკრატებმა“...

რუსეთი ომებს არასოდეს იწყებს, რუსეთი ომებს ამთავრებს!

ამ ფრთიან ფრაზას ჩვენს ძველ პლეხანოველს და XX საუკუნის მიწურულის რუსეთის პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ აქტიორს, იმ დროის საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი პრიმაკოვს მიაწერენ, რომელმაც ზემოთ ნახსენები სერბეთის დაბომბვა იმით გააპროტესტა, რომ აშშ-ში მიმავალი საკუთარი თვითმფრინავი ატლანტიკის თავზე უკან შემოაბრუნა!

ჰოდა, ასე დაუმთავრა რუსეთმა ნაპოლეონს პარიზში, ჰიტლერს – ბერლინში...

„რუსეთისთვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამს სათავეში ჩაუდგა გენიოსი და ურყევი მხედართმთავარი სტალინი“...

ეს სიტყვები უინსტონ ჩერჩილს ეკუთვნის, რომელიც მან სტალინის 80 წლისთავზე, 1959 წლის 21 დეკემბერს, ინგლისის პარლამენტის თემთა პალატაში წარმოთქვა.

თუ ამ სიტყვების მცირე პერიფრაზს გავაკეთებთ და გენიოსის მაგივრად ბრძენს (ილია II აზრით), ურყევთან ერთად ვაჟკაცს, ხოლო სტალინის მაგივრად ვლადიმერ პუტინს ჩავსვამთ, სხვა ყველაფერი ერთი-ერთში ჩაჯდება დღევანდელობაში!

ესეც ვერ გაითვალისწინეს სადაც ჯერ არს, რომ დღეს მარაზმატიკი და ლოთი ელცინი კი არა, ვის დროსაც მძვინვარე რუსული დათვი, უკანა თათებზე შემდგარ ცირკის დათვად გადაიქცა, არამედ ვლადიმერ პუტინია რუსეთის პრეზიდენტი. კაცი, რომელმაც კორუმპირებული ელცინისგან: ხადარკოვსკების, აბრამოვიჩების, ბერეზოვსკების მიერ გაძარცული, სამოქალაქო ომის ქაოსში მყოფი, დასავლეთის ნასუფრალის მოლოდინში დაჩოქილი რუსეთი ჩაიბარა. თავისი პრეზიდენტობის პირველი ვადები უზარმაზარ ქვეყანაში ელემენტარული წესრიგის დამყარებას მოანდომა და დღეს, პუტინის ხელმესამედ გაპრეზიდენტებისას, ფეხზე წამომდგარმა რუსეთმა საფუძვლიანი პრეტენზიები განაცხადა დაკარგული გავლენების დასაბრუნებლად და ეს აგიჟებს, პირველ რიგში, ამერიკას, რომ მის 25-წლიან ერთპიროვნულ დაუსჯელ პარპაშს მსოფლიოში ბოლო მოეღო!

„სნამი ლუჩშე ნე სვიაზაცა“ – აი, ასე მოკლედ და მარტივად განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ახალგაზრდა ინტელექტუალებთან შეხვედრაზე, რაც ნატოს უელსის სამიტზე რუსეთის მიმართ გაჟღერებულ სამხედრო მუქარებზე პასუხიც იყო.

ასეა თუ ისე, ვლადიმერ პუტინი ისტორიაში უკვე შევიდა, როგორც დაკარგული ტერიტორიების დამბრუნებელი ლიდერი და სწორედ ამის გამო მის პრეზიდენტობას მეოთხე ვადითაც ვერაფერი დაუდგება წინ, რადგანაც უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში პუტინის ურყევმა ქმედებებმა ის უკბილო, მართლაც „ბალოტნი“, ანუ, მართლაც ჭაობის ოპოზიციაც გაანადგურა და თუ ადრე ნემცოვ-კასპაროვ-ნავალნები ყოველი თვის ბოლოს მუშტებს იქნევდნენ მოსკოვის ცენტრში, ახლა გარეთ ცხვირის გამოყოფას ვერ ბედავენ.

ამაშიც „იაღლიში“ მოუვიდათ ამერიკელებს. ის ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსი ის ერია, ოღონდაც იცოდნენ, რომ მათი ჯარი ყველაზე ძლიერია და მათი დროშა ამაყად ფრიალებს, ყველანაირ გაჭირვებას აიტანს. ამიტომ სულ ტყუილად უწესებენ ახალ-ახალ სანქციებს რუსებს – შიდა დესტაბილიზაციას ვერც ამით და ამას ვერც მოსკოვში ამერიკის ელჩად „ტუფტად“ მივლინებული ჯონ ტეფტი შეძლებს – ფერადი რევოლუციების დიდოსტატს მოსკოვში „ფეხი არ ჩაუვა“...

ზემოთ რუსეთ-უკრაინის კავშირის გლობალურობაზე ვთქვით, რასაც ბელორუსიასაც მივამატებ, როგორც ერთ რუსულ სიმღერაშია: „როსია, უკრაინა, ბელორუსია, პლემიონ სლავიანსკიხ ტრი ბოგატირია“ და კიდევ – „კიევ, მატ გოროდოვ როსიისკიხ“.

ანუ საუკუნეების წინათ კიევის რუსეთით დაიწყო და როგორც ჩანს „რუსეთის კიევით“ დამთავრდება ეს ყველაფერი!!!

დავით მხეიძე.

P.S. როგორც იტყვიან, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, რომ 1962 წლის კარიბის კრიზისის შემდეგ კაცობრიობა კვლავ მესამე მსოფლიო ომის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა და არა მხოლოდ უკრაინის კრიზისის გამო...

ერაყში ამერიკელების მიერ დამყარებულმა „დემოკრატიამ“ იბარტყა და ერაყი-ლევანტეს ისლამური სახელმწიფო შვა, რომელმაც ამერიკელებს მათი ჟურნალისტების მოკვეთილი თავები უკვე გაუგზავნა და ახლა ჩეჩნეთზე გავლით, მთელს კავკასიაზე ლაშქრობით იმუქრება!

ჰოდა, იქნება ახლა მაინც გაგრილდნენ ნატოს „ახალი ლიგით“, „ოქროს ბარათებით“ თუ „გამომცხვარი ორცხობილებით“ გაცხელებული თავები? თორემ, რუსეთის დასაშინებლად იმ ე.წ. სწრაფი რეაგირების ძალების აღმოსავლეთ ევროპაში განლაგება რუსეთს მაინც და მაინც აღელვებს და ერაყიდან აგრესიის შემთხვევაში ისევ რუსეთი თუ დაგვიცავს თუნდაც იმიტომ, რომ საკუთარი ჩრდილოეთ კავკასიის დაცვა მოუწევს...

დ. მ.

გიგის ეაპოკალიფსება,

ანუ ჯოჯოხეთი ყოველ ფეხის ნაბიჯზე!

ბიძინა ივანიშვილის და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორების „რევოლუციური“ გეგმა, რომელიც პატიმარ გიგი უგულავას „გატეხილ იმეილზე აკრიფეს“ და სენსაციებს დახარბებულ ქართულ პრესაში გამოქვეყნდა, ერთმნიშვნელოვნად ააშკარავებს მოძალადე მიშნაცეების მზაკვრულ ჩაფიქრს:

„სრული აპოკალიფსის სურათის შექმნა

ყოველდღე თუ არა, კვირაში სამჯერ პატარ-პატარა აქციები. მაგალითად: სერგომ (სავარაუდოდ, საუბარია, **სერგო რატიანზე. — რედ.**) ჩაიბას უფლებაყრილი სტუდენტები. იყოს 20-კაციანი აქცია, რეცეპტებზე, სოცდაუცველებზე, დევნილებზე. ბევრი პატარ-პატარა აქცია, რეპეტიციაა დიდი. პატარა აქციებზე წამოიკიდებ ვინმეს, მაგალითად, სრულიად უსაგნო კოსტუმების აქციაზე წამოეკიდა ვიღაც კანცელარიის დაცვის უფროსი, რომლებსაც აქ ჩემი ექიმები ლანძღავდნენ სამი დღე. დიახ, უნდა ვიყოთ პროვოკაციულები და ყოველ ფეხის ნაბიჯზე უნდა იყოს **ჯოჯოხეთი**. ჩემზე უკეთ ვინ იცის, 20-30-კაციანი აქციაც კი პარალიზებას იწვევდა მერიის წინ, ისე რომ, ხალხის მოსულიერება მიწევდა. ასე და ამრიგად, ყველამ უნდა ჩაიბას სხვადასხვა მიმართულება. სიტყვაზე: სერგომ განათლება, ჭიამ (ჭიაბერაშვილი. **— რედ.**) სამედიცინო, მელიამ მერია, თვითმმართველობა და ა.შ. არ არის აუცილებელი, რომ თვითონ ვჩანდეთ, ხანდახან გამოვჩნდეთ კიდეც. მთავარია, მუხტის კონსოლიდაცია და სწორი მიმართულებით წარმართვა. ჩვენი ამოცანაა ნუ შეგვეშინდება მარგინალიზაციის. ჩვენი გარანტირებული ელექტორატი გვყავს, რაც, სამწუხაროდ, არ მატულობს, მაგრამ არც იკლებს. კრიზისული და რევოლუციური მუხტი საარჩევნო რეიტინგებით არ იზომება. შემოდგომაზე აუცილებელია ერთი ტალღის აგორება, მარტო ერთდღიანი აქცია არ ივარგებს, არ კმარა. გავიხსენოთ, ესენი რას აკეთებდნენ. შიმშილობა ლიდერებისა და აქტივისტების. ჩვენც უნდა გავაკეთოთ (აქედან ჩვენც ავყვებით) უსუფაშვილის მისაღებში შიმშილობა (რა? „ახლები“ თუ შიმშილობდნენ, ჩვენ არ გვეკადრება?!), ეს ქმნის ქაოსის განცდას. მუდმივ პრესინგში ამყოფებს ამათ და გზადაგზა აუცილებლად შეცდომას დააშვებინებს, რაც მოგვცემს საშუალებას, **წამოვიკიდოთ და მერე პატიმრებზე ვევაჭროთ.**

აუცილებელია, ბაქრაძის თაოსნობით (შემადგენლობა გასაგებია), აღდგეს კომუნიკაცია პატრიარქთან. კრიზისულ სიტუაციაში თუ მანამდე ნამუშევარი გვაქვს და გამოვა და ეტყვის, რომ ხალხი ციხიდან გამოუშვი ან რამე მსგავსს. გიხსენე, ისინი როგორ ეფექტურად იყენებდნენ. ამოიგდეთ თავიდან, რომ ჩვენ არ ვუყვარვართ, მას არც ბიძინა უყვარს და მოქმედებს სიტუაციის მიხედვით. მოკლედ, ამოცანა, პატარ-პატარა კრიზისებით დავიწყოთ და ამ შემოდგომაზე ერთი დიდი კრიზისი გავუჩალიჩოთ. საკმარისი ჯერ არ იქნება, მაგრამ აუცილებელია დასაჯანჯღარებლად, ვისაც არ მოსწონს სიტყვა რევოლუცია, ჩათვალეთ ეს პრაგმატულ მოქმედებად ჩვენი აქედან გამოსახსნელად, რაც, მგონი, არაა პატარა ამოცანა. ამათ რეალურად და ობიექტურად 14-ის დარჩენილი და 2015 წელი აქვთ იმისთვის, რომ ანახონ ხალხს, რომ რაიმეს გაკეთება შეუძლიათ. ჩვენ არ უნდა მივცეთ საშუალება, ეს მათი არჩევანია, როცა დაგვიჭირეს ყველა, რევოლუციური სცენარი თავად აირჩია ბიძინამ. შურისძიება ყოველთვის წარმოქმნის თავგანწირულ წინააღმდეგობას. მოკლედ, ახლა ეს თავგანწირვაა საჭირო. ეს წმინდა პრაგმატული არჩევანია და არაა ლიტონსიტყვებიანი ემოციები. რაც შეეხება თავად პარტიას, საკმაოდ ჩაიკეტა, მათ შორის ჩვენი სატელიტი ჯგუფებისთვისაც. ზოგი ექსპერტობს, ზოგი ადვოკატობს. არ ვიცი, რა შეიძლება ვქნათ? ვანოს იდეა მე მომწონს (აღარ დავწერ, უკვე მოვიწერე), ეგ შეიძლება იყოს დაინტერესების საფუძველი.

მე მგონი, ასევე აუცილებელია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს მთავარი მაგნიტი და ოპოზიციური დიალოგის ინიციატორი (ცხადია, ბურჯანაძე-ივანიშვილი არ იგულისხმება). მერე რა, რომ ეს პატარ-პატარა პარტიები არაფერს წარმოადგენენ. სულ მცირე, შენ წარმოგაჩენენ დიდად? დღევანდელი პოლიტიკური დისპოზიცია ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეიცვალოს და ეს პლატფორმა აუცილებლად გამოგადგება. შევქმნათ საკოორდინაციო საბჭო, შევკრიბოთ ორ კვირაში ერთხელ, გავაკეთოთ დღის წესრიგი, მაგალითად, დემოკრატიული რეფორმების საარჩევნო სისტემაზე. მოკლედ, უნდა ვჩანდეთ ფლაგმანად. ეს მნიშვნელოვანია, თუნდაც იმით, რომ, თუ იქით რღვევა წავა, აქეთ მზად, კარგად შეფუთული პლატფორმა იყოს. მე მაინც მგონია,რომ ვიდრე ალასანიას“ გამოასხმევინებენ, „მარგველაშვილი შექმნის რაღაც მოპარტიოს, ელისაშვილი, კახიშვილი და ეგეთი ხალხის ბაზაზე. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ გამწვავებაზე წავედით, მოვლენებს დავაჩქარებთ...

იმედია, გასაგებად გადმოვეცი ჩემი სათქმელი. ველი თქვენს გამოხმაურებას, მათ შორის კრიტიკულს. მოკითხვა ყველას დიდი სიყვარულით. ისეთი რამეები მოგწერეთ, მგონი, შიგნით ჯდომა ჯობია, ვიდრე ამ ყველაფრის კეთება... რა ვქნა, არ დამცალდა, თორემ ხომ იცით, არ დაგზარდებოდით. ამ წერილს გავაცნობ ვანოსაც და ბაჩოსაც აქ და მათაც გამოთქვან თავისი პოზიცია“ (სტილი დაცულია).

* * *

გიგი უგულავამ გუშინ სასამართლო სხდომაზე ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, ეს წერილი მე არ მეკუთვნის, თუ რაიმე მექნება სათქმელი აქ, სასამართლოში ვიტყვიო, გაათკეცებული კრიმინალისა და ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ხვალ თუ არა ზეგ, ხალხის რისხვა გარდაუვალია და ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლება ცდილობს, ეს ნაციონალურ მოძრაობას დააბრალოსო!

უშიშარი პატიმრის და ციხიდან გააქტიურებული დემაგოგის გიგი უგულავას ამ „გულუბრყვილო“ კომენტარში ნათლად ჩანს მთელი სანაცეთის დაუოკებელი სურვილი დღევანდელი ხელისუფლების ჩაფლავების და ხალხის რისხვის აგორების შესახებ.

ექსპერტ-პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ლაკონიურად შეაფასა უგულავას „გატეხილ იმეილზე“ გავრცელებული წერილის შინაარსი: ამ გეგმით ნაცმოძრაობის დაბრუნება წარმოუდგენელია. რევოლუცია რომც წამოიწყონ (ათი-ოცი კაცის რევოლუცია არ არსებობს!), ჩვენი მოსახლეობა მხარს არ დაუჭერს, პირიქით, საკითხავია, გადაურჩება თუ არა ნაცმოძრაობა ჩვენს ისედაც გაღიზიანებულ მოსახლეობას... მათ ვინმე წაჰყვება? — გამორიცხულია!

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე განმარტავს, რომ ნაციონალებს კიდევ დიდი ხანი დასჭირდებათ რეაბილიტაციისთვის. 2016 წლის არჩევნებზე პრინციპულად გამოვრიცხავ მათ დაბრუნებას. რაც შეეხება რევოლუციას, — ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ არ არის მსგავსი განწყობა.

ექსპერტი დემურ გიორხელიძე კი ერთმნიშვნელოვნად ამბობს: ნაცმოძრაობის ლიდერები არ ითვალისწინებენ ქართველი ხალხის ფაქტორს, რაიმე რევოლუციის მსგავსის მოწყობით, ნაცები მეორედ დაუშვებენ უმძიმეს შეცდომას და საერთოდ გაქრებიან პოლიტიკური არენიდან...

* * *

ისე, გულზე ხელი დავიდოთ და კიდევ ერთხელ ვაღიაროთ, რომ სწორედ „ოცნების“ ხელისუფლების შეცდომაა ნაცების ყელყელაობა და უტიფარი ძალადობა! ეს არის გაწამებული ქართველი ხალხის იდეოლოგიური ტერორი, ყველაფრისმკადრებელი მიშისტები ლიბერალი და მიმტევებელი ბიძინა ივანიშვილის მითითებით ლამის ქართული დემოკრატიის მთავარ სამიზნედ აქციეს და ყველაფრის უფლება მისცეს.

მიმტევებლობა და სიკეთე ძალიან კარგია, მაგრამ გააჩნია ვის მიმართ! თითოეულმა ქართველმა დაინახა, რომ სააკაშვილი და მისი ბანდა ავაზაკები, ქურდები, კაცისმკვლელები და ქვეყნის მოღალატენი არიან. ამიტომაც მეტი სიმკაცრე და პრინციპულობაა საჭირო. ნაციონალების პარპაში, ძალადობა და უტიფრობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს!

სპარტაკ ქობულია

◎ ჯანდაცვა

პროცესი ჭიანურდება, მოსახლეობა ზარალობს

საავადმყოფოების სახელმწიფოსთვის დაბრუნება ფერხდება

მაღალმთიან რეგიონებში კერძო სამედიცინო დაწესებულებებში ინვენტარიზაცია ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შესაბამისად, მათი სახელმწიფოსთვის გადაცემის პროცესი ფერხდება. ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ გადაწყვეტილება დიდი ხანია, მიღებულია, თუმცა, უშუალოდ პროცესი არ დაწყებულა. წესით და რიგით, ყველაფერი წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს, მაგრამ რამდენად ჩაეტევა სამინისტრო დარჩენილ დროში, არავინ იცის.

ამასობაში, მაღალმთიანეთში მოსახლეობა ჯანდაცვის სერვისებს მოკლებულია. ზოგიერთ რაიონში საავადმყოფო საერთოდაც არ მუშაობს და პაციენტები მეზობელ ქალაქში მიემართებიან სამკურნალოდ, სადაც, თავის მხრივ, პრობლემებია. ჰოსპიტალურმა რეფორმამ რეგიონებში მცხოვრებ ადამიანებს მკურნალობა მხოლოდ და მხოლოდ გაურთულა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, კლინიკებთან და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასთან ერთად მიმდინარეობს იმ ქონების ექსპერტიზისა და ინვენტარიზაციის პროცესი, რისი დასრულების შემდეგაც გადაცემის პროცესი დაიწყება. მინისტრის მოადგილე ვერ აკონკრეტებს ინვენტარიზაციის დასრულების სავარაუდო თარიღს.

არადა, ორიოდე თვის წინათ ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ამტკიცებდა, რომ მოლაპარაკებები თითქმის დასრულებულია და დარჩენილია მხოლოდ ტექნიკური საკითხები. მან ყურადღება გაამახვილა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაუმართავ მუშაობაზე. მისი თქმით, სასწრაფოს მანქანები გამოძახების ადგილზე ხშირად საერთოდ არ მიდიან ან მიდიან, მაგრამ დიდი ხნის დაგვიანებით. ამიტომაც, ახალი სამსახურის შექმნის შემდეგ, გამოძახებაზე გასვლა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით მოხდება.

ჰოსპიტალური პრობლემები მარტოოდენ მაღალმთიან რეგიონებში არ არის. დედაქალაქის ზოგიერთი საავადმყოფოს ბედი კითხვის ნიშნის ქვეშაა. მაგალითად, დიდი დაპირისპირება იყო იაშვილის სახელობის კლინიკის მედპერსონალსა და მფლობელებს შორის. ექიმები საავადმყოფოს სახელმწიფოსთვის დაბრუნებას ითხოვდნენ.

რესპუბლიკური საავადმყოფოს მომავალი თითქოს უფრო გარკვეულია. სავარაუდოდ, ახლო მომავალში იგი სახელმწიფოს დაუბრუნდება. ამგვარი განცხადება კლინიკის ხელმძღვანელმა ავთანდილ იმედაძემ გააკეთა.

საავადმყოფოს ადმინისტრაცია სამკურნალო დაწესებულების სახელმწიფოს მიერ გამოსყიდვასა და იმ იურიდიული გაუგებრობის აღმოფხვრას ითხოვს, რომელიც საავადმყოფოს საკუთრებისა და მმართველობის ფორმასთან დაკავშირებით რამდენიმე წელია, არსებობს.

როგორც კლინიკის დირექტორი ავთანდილ იმედაძე „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ჯანდაცვის მინისტრი ამ საკითხზე ინტენსიურად მუშაობს საავადმყოფოს ხელმძღვანელობასთან ერთად და შესაბამისი გადაწყვეტილება, სავარაუდოდ, წელსვე გახდება ცნობილი.

„საკითხი იმის გამო გაჭიანურდა, რომ კანადელ ინვესტორებთან ხელშეკრულება ძალიან ცუდადაა დადებული. ეს არის როგორც ჯანდაცვის სამინისტროს, ისე ჩვენი კოლექტივისთვის და, საერთოდ, მთელი ქვეყნისთვის აბსოლუტურად მიუღებელი ხელშეკრულება, რაც წინა ხელისუფლების „დამსახურებაა“. სწორედ ამიტომ, ასე ადვილად ვერ მოხერხდა მისი გადახედვა ან გაუქმება, თუმცა, დღემდე მიდის ამ საკითხზე მოლაპარაკება ჯანდაცვის მინისტრთან“, — აცხადებს რესპუბლიკური საავადმყოფოს მმართველი.

ბექა დანელია

◎ ნეპოტიზმი

მერაბიშვილის სიდედრი მერიის „დაუსწრებელი“ განყოფილებიდან „გარიცხეს“

დავით ნარმანიამ თბილისის მერიიდან ვანო მერაბიშვილის სიდედრი „გარიცხა“. როგორც დედაქალაქის მერი „კვირის პალიტრასთან“ საუბრისას განმარტავს, საკადრო გადაწყვეტილების მიზეზი ის ფაქტი გახდა, რომ ყოფილი პრემიერის სიდედრი სამსახურში არ დადიოდა, ხელფასს კი შეუფერხებლად იღებდა.

ვანო მერაბიშვილის სიდედრი თბილისის მერიაში სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურში იყო გაფორმებული, თუმცა, მერიის ვერც ძველმა და ვერც ახალმა თანამშრომლებმა ვერ უპასუხეს for.ge კითხვას, კონკრეტულად, რა მოვალეობები ჰქონდა აღნიშნულ ქალბატონს. მათი მეშვეობით ვერც იმის დადგენა მოხერხდა, თუ როდის „ჩაირიცხა“ მერაბიშვილის სიდედრი მერიის „დაუსწრებელ“ განყოფილებაზე და რა თანხით იყო განსაზღვრული მისი ჯამაგირი.

დედაქალაქის მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი და მოქმედი საკრებულოს წევრი სევდია უგრეხელიძე აცხადებს, რომ მერაბიშვილის სიდედრი რომ მისი თანამშრომელი იყო, ახლახან, პრესის მეშვეობით შეიტყო.

„მერიაში ძალიან ბევრი თანამშრომელია და არ ვიცი, ვინ დადის და ვინ — არა. ეს, ალბათ, აღრიცხულიც არის. მაგრამ, თუ ჯანმრთელობის ან ოჯახური მდგომარეობის გამო არ დადიოდა ადამიანი სამსახურში, ამის გამო არ უნდა გაეთავისუფლებინათ. არ ვიცი, ვერ გეტყვით, ჩემთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი. არც ის ვიცოდი , ჩვენი თანამშრომელი თუ იყო — ცოტა ხნის წინ ჭორგაზეთებიდან გავიგე. საშუალებაც აღარ მქონდა, მეკითხა ამბავი. მერიაში ძველი უკვე აღარვინ აღარ მუშაობდა“, — განუცხადა for.ge-ს სევდია უგრეხელიძემ და განმარტა, რომ მიუღებელია, თუ ვინმე გაფორმებულია სამსახურში და არ დადის.

იმის გასარკვევად, თუ რა მიზეზით არ დადიოდა სამსახურში მერაბიშვილის სიდედრი, For.ge მის უშუალო ხელმძღვანელს, მერიის საქალაქო სამსახურის უფროსს მამუკა ქაცარავას არაერთხელ დაუკავშირდა, თუმცა, მან ჩვენ სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. ქალაქის მოქმედი მერი კი „იმუქრება“, რომ მომავალშიც გაათავისუფლებს თანამშრომლებს, რომლებიც საბოტაჟს მოინდომებენ და თანამდებობის შესაბამის კვალიფიკაციას ვერ გამოავლენენ.

ოპოზიციონერი დეპუტატი სევდია უგრეხელიძე ნარმანიას საკადრო გადაწყვეტილებებს აკრიტიკებს და მერს კანონის გარდა მისი თანაგუნდელების განცხადებებს ახსენებს.

„შეიძლებოდა, მერაბიშვილის სიდედრსაც ემუშავა და ამაში, თავისთავად, არ არის პრობლემა, რადგან კანონი არ კრძალავს. სოციალური სამსახური ძალიან დიდი სამსახურია და არ ვიცი, რომელ ერთეულში იყო. არც ის ვიცი, რა ხნის ქალბატონია, ან რა ოჯახური მდგომარეობა ჰქონდა, რატომ არ დადიოდა სამსახურში. მაგრამ, „ქართულ ოცნებას“ უფლება არ აქვს, ხმა ამოიღოს ნათესავების დასაქმებაზე, იმიტომ, რომ ეს ლეგალური გახადა ივანიშვილმა, როდესაც თქვა, ეს საქართველოა და, რა თქმა უნდა, ნათესავებს დაასაქმებენო, როდესაც ღარიბაშვილმა თქვა, ცოლის ნათესავი არ არისო. თუ ასე მივუდგებით, მერაბიშვილის ცოლის ნათესავი მისი ნათესავი არ არის. ანუ მისი დანიშვნა არც კანონს ეწინააღმდეგება და არც მორალს. ვიმეორებ, სხვა საკითხია, თუ მართლა არ მუშაობდა და არ დადიოდა სამსახურში. ვერ შევაქებ ნამდვილად ვერავის იმის გამო, რომ შეიძლება, ვიღაცამ თანაგრძნობა გამოხატა ამით, რომ რადგამ სიძე დაუჭირეს, გაითვალისწინეს მისი მდგომარეობა და სამსახურში მისვლას არ სთხოვდნენ“, — აცხადებს სევდია უგრეხელიძე.

მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი აღნიშნავს, რომ ნათესავების დასაქმება „ქართული ოცნებისთვის“ უცხო რომ არ არის, ამას, ახლახან, ერთ-ერთ თანამდებობაზე ვიცე-პრემიერ კახა კალაძის ცოლისძმის დანიშვნაც ადასტურებს.

„კალაძის სრულიად ჭყინტი ცოლისძმა, 23 წლის ადამიანი დანიშნეს თანამდებობაზე, თან რიგითად კი არა — იმავე სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილედ. პროფესიონალები მოგვყავს და არაპროფესიონალებს ვუშვებთო, მაგრამ ვინც მანამდე იყო ამ თანამდებობაზე ძალიან ჭკვიანი ბიჭი იყო, ბევრი პროექტის ხელმძღვანელი და ზეწოლით გაუშვეს სამსახურიდან. „ქართულ ოცნებას“ არა აქვს ის მორალური სახე, რომ ვინმეზე ამ კუთხით ილაპარაკოს“, — აცხადებს სევდია უგრეხელიძე.

თბილისის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი, ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე რიმა ბერაძე მერაბიშვილის სიდედრის მერიაში გაფორმების ფაქტს ზნეობრივ ჭრილში განიხილავს.

„როცა ქვეყანა შიმშილის პირზეა მისული, ხალხი ნაგავში იქექება, ამ დროს კი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის სიდედრი სამსახურში უბრალოდ გაფორმებულია და არც დადის, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი ფაქტია. პირველ ყოვლისა, ზნეობრივად არის გაუმართლებელი. როცა ხელისუფლებაში ხარ და პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენ, სახე და ზნეობრივი მაგალითი უნდა იყო სხვა ადამიანებისთვის“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას რიმა ბერაძე.

საკრებულოს უმრავლეობის ლიდერი აღნიშნავს, რომ ჩუღურეთის გამგეობაში ამ დრომდე უგულავას ცოლის მამიდაც მუშაობდა.

„დედაქალაქში ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ იგი შვებულებაში გავიდა და რომ დაბრუნდა თავად დაწერა განცხადება წასვლის თაობაზე. მანამდე დადიოდა თუ არა სამსახურში, არ ვიცი“, — აცხადებს ბერაძე.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე „თბილსერვის ჯგუფში“ საეჭვო გარემოებებში დასაქმებული ასობით ადამიანის შესახებაც საუბრობს და საბიუჯეტო თანხების არანიზნობრივ ხარჯვაზე აკეთებს აქცენტს.

„თბილსერვის ჯგუფის“ საკითხს ვისილავთ და ვაანალიზებთ, ამ სამსახურში მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში 600-მდე ადამიანი იყო გაფორმებული და მხოლოდ გასულ წელს 5 მილიონი ლარია დახარჯული მათთვის. ასევე „თბილსერვის ჯგუფში“ დადგმული იყო „ჯი-პი-ეს-ის“ სისტემა, რომელიც საერთოდ არ მუშაობდა, არადა, მის დამონტაჟებაზე 1 მილიონი ლარი იყო გადახდილი“, — აცხადებს სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელი.

სამსახურში არ დადიოდაო, არ უთქვამთ, მაგრამ დედაქალაქის ახალმა ხელმძღვანელობამ ერთგვარი „საყვედური“ მერის მოვალეობის ყოფილი შემსრულებლის სევდია უგრეხელიძის და მერის 6 მოადგილის მისამართითაც გამოთქვა. მერიამ უგრეხელიძისთვის გადახდილი ხელფასი, დანამატი და პრემია გაასაჯაროვა. ოფიციალური ინფორმაციით, სევდია უგრეხელიძემ 2013 წელს ანაზღაურების სახით 89 ათასი ლარი აიღო, ხოლო 2014 წლის ივნისში მისი სტანდარტული ხელფასი 2950 ლარით, დანამატი 3 600, ხოლო, პრემია 2 900 ლარით განისაზღვრა.

ჩვენთან საუბრისას ხელფასის, დანამატისა და პრემიის აღებას არ უარყოფს, მაგრამ მერიის მიერ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებას სასაცილოს უწოდებს სევდია უგრეხელიძე. მისი თქმით, ანაზღაურება, რომელსაც იღებდა, დამსახურებული ჰქონდა.

„ეს არის ჟონგლიორობა ციფრებით. სხვა შემთხვევაში ან კანონი უნდა ირღვეოდეს, ან — მორალურად უნდა იყოს გაუმართლებელი. თუ მორალური საკითხი აღელვებთ, შეადარონ თავიანთ ამორალურ პრემიებსა და გაორმაგებულ ხელფასებს. 138 მილიონი ლარით მეტი პრემიები აიღო ამ მთავრობამ, ვიდრე იღებდა „ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობა. შეადარონ შიხიაშვილის, ჯაბა სამუშიას, გულიკო ზუმბაძის და იქაური „ქართული ოცნების“ პრემიები. ჩემი, ქაღალდზე დარიცხული, დაუქვითავი წლინახევრის თანხის დათვლა საერთოდ არ მაღელვებს. ესენი თამაშობენ სოციალურად დაუცველი ადამიანების ფსიქიკაზე. მათთვის, რა თქმა უნდა, ეს დიდი თანხა ჩანს და არ იციან, სინამდვილეში როგორ „ითვლიან“ ამ თანხებს ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები“, — აცხადებს სევდია უგრეხელიძე.

ვიდრე საზოგადოება დეტალურად გაარკვევს, ვინ დამსახურებულად და ვინ დაუმსახურებლად იღებდა მის მიერ გადახდილი გადასახადებისგან შეგროვილ საბიუჯეტო თანხებს, ბევრს ჯერაც არ დავიწყებია ვანო მერაბიშვილის სიდედრის „სოციალური აქტივობები“, რომელიც დავით ნარმანიას „ეძღვნებოდა“. ერთ-ერთი ბოლო „განცხადება“ სოციალურ ქსელში მან დედაქალაქში გამართული არჩევნების მეორე ტურის შედეგების დათვლის დროს გამოაქვეყნა. განცახდება ასეთი ფრაზით სრულდებოდა: **„თბილისს ზუსტად ისეთი მერი ეყოლება, როგორის ღირსიცაა!!! პეროგაყრილებო, შეგერგოთ ნორას ბიჭი, მეტის ღირსი არ ხართ!!!“**

ელენე აბესაძე

◎ სუიციდი

თვითმკვლელთა რაოდენობით საქართველო ლიდერობს

ყოველ 40 წამში , მსოფლიოში ერთი ადამიანი იკლავს თავს

ყოველწლიურად მსოფლიოში 804 ათასი ადამიანი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებს. ყოველ 40 წამში ერთხელ, მსოფლიოში ერთი ადამიანი იკლავს თავს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი ანგარიშით, ყოველწლიურად თვითმკვლელობის შედეგად უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე ომებისა და ბუნებრივი კატასტროფების გამო.

თვითმკვლელობების რიცხვი სხვადასხვა ქვეყნებში, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან.

მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელი 100 ათას ადამიანზე 11.4 თვითმკვლელობაა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მაჩვენებელი კი 17.7-ია. თვითმკვლელობების რიცხვი მდიდარ ქვეყნებში უფრო მაღალია (12.7 თვითმკვლელობა 100 ათას ადამიანზე) ,ვიდრე საშუალო და დაბალი შემოსავლის ქვეყნებში (11.2).

ყველაზე მეტი თვითმკვლელობა სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყანაში — კოოპერატიული გაიანას რესპუბლიკაში ხდება(44.2 თვითმკვლელობა 100 ათას ადამიანზე), ყველაზე ცოტა კი საუდის არაბეთში (0.4)

თვითმკვლელობების რაოდენობა სქესის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია, ქალებთან შედარებით 2-ჯერ მეტი მამაკაცი იკლავს თავს.

თვითმკვლელთა დიდი რაოდენობით გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: ჩრდილოეთ კორეა, სურინამი, ლიტვა, რუსეთი, შრი-ლანკა,მოზამბიკი, სამხრეთ სუდანი.

თვითმკვლელთა რაოდენობით სამხრეთ კავკასიაში საქართველო ლიდერობს, ყოველ 100 ათას ადამიანზე 3.2 თვითმკვლელობა ხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო 12 წელში თვითმკვლელთა რაოდენობა შემცირებულია. 2000 წელს ეს მაჩვენებელი 4.3 იყო.

სომხეთში 100 ათას ადამიანზე 2.9 თვითმკვლელობა ხდება, ბოლო 12 წლის განმავლობაში სომხეთშიც შემცირდა თვითმკვლელთა რიცხვი.

აზერბაიჯანში კი თვითმკვლელობის რიცხვი ბოლო პერიოდში უცვლელია და ის ბოლო 12 წლის განმავლობაში 1.7-ია 100 ათას ადამიანზე.

◎ ალიანჩალიანი

17 პროექტი ერთ წელიწადში დასრულდება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე ვაჟა ფანჩულიძე კახეთის რეგიონში მიმდინარე სარეაბილიტაციო და ნაპირსამაგრ სამუშაოებს ადგილზე გაეცნო.

როგორც უწყებაში აცხადებენ, წელს, საავტომობილო გზების დეპარტამენტი კახეთის რეგიონის თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში, 42 მილიონ ლარამდე ღირებულების, 17 სხვადასხვა საავტომობილო გზის მონაკვეთის რეაბილიტაციასა და ნაპირსამაგრ სამუშაოებს ახორციელებს, საიდანაც 6 პროექტი წელს უკვე დასრულდა.

„საავტომობილო გზების დეპარტამენტის 17 პროექტზე, კახეთის რეგიონში დასაქმებულია 750-მდე ადამიანი, საიდანაც თითქმის 50% ადგილობრივი მოსახლეა. კახეთის რეგიონში, გზების რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრი სამუშაოების ყველა პროექტი ერთ წელიწადში დასრულდება, რაც მოსახლეობის შეუფერხებელ გადაადგილებას უზრუნველყოფს„, - აცხადებენ უწყებაში.

დეპარტამენტის თავმჯდომარე, თავის მოადგილე ირაკლი ლითანიშვილთან და სიღნაღის მაჟორიტარ დეპუტატ გელა გელაშვილთან ერთად ქალაქ წნორში ბოდბისხევზე მიმდინარე ნაპირსამაგრ სამუშაოებს დაესწრო. ბოდბისხევის ნაპირსამაგრი სამუშაოები 70-იანი წლების შემდეგ არ განხორციელებულა. წლების განმავლობაში უამინდობისა და წყლის მოვარდნის გამო დაზიანებული იყო ბოდბისხევის ორივე ნაპირი, რის გამოც ადგილობრივთა საცხოვრებელი სახლების დატბორვის საშიშროება იყო. სამუშაოების დასრულების შემდეგ კი, მოსახლეობას აღნიშნული პრობლემა სრულად მოუგვარდება. ნაპირსამაგრი სამუშაოები 1კმ-სა და 200 მეტრზე მიმდინარეობს. ნაპირსამაგრი სამუშაოები ნოემბერში დასრულდება.

ინტერპრესი

◎ ერიჰა!

საიდუმლო ხელშეკრულებით შებორკილი მერია

თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულების დეტალებს ნათელი მოეფინა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ უგულავამ დედაქალაქის მერია კაბალურ პირობებში ჩააყენა. შექმნილი ვითარებიდან გამოსავლის მოძებნა ურთულესი იქნება.

ხელშეკრულების დეტალები ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) წარმოადგინა. IDFI-ში აცხადებენ, რომ აქამდე გასაიდუმლოებული რჩებოდა არა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც პარკირების სფეროში კომპანიის ექსკლუზიურ უფლებებს ამყარებდა, არამედ კომპანიის ფუნქციობის სხვადასხვა ტექნიკური საკითხები, მერიასთან ურთიერთობის ფინანსური და მმართველობითი დეტალებიც.

ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც დღემდე უცნობი იყო, ეხება თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის შემოსავლების განაწილებას. თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად, თბილისის მერიას უნდა მიეღო პარკირების შემოსავლების 60% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი (ისეთი მომსახურება, რაც არ არის აღნიშნული ხელშეკრულებაში), ხოლო „სი-თი პარკს“ — პარკირების შემოსავლის 40% და დამატებითი მომსახურების შემოსავალი.

ამას გარდა, უცნობი იყო დეტალები იმ მინიმალური შემოსავლის შესახებ, რომელიც მერიას უნდა მიეღო „სითი პარკისგან“ ყოველწლიურად. ხელშეკრულების დანართის თანახმად, მერიას პირველ წელს უნდა მიეღო 1 მლნ ლარი, ოპერირების დანარჩენ წლებში კი მისი მინიმალური შემოსავალი ყოველწლიურად იზრდებოდა.

აღსანიშნავია, რომ მერიის მიერ ყოველწლიურად მისაღები მინიმალური თანხის გადახდამ ორჯერ გადაიწია, რაც საზოგადოებისთვის ასევე უცნობი იყო. პირველი, 2008 წლის 31 დეკემბრის ცვლილებით, თანხის ზრდამ გადაიწია ერთი წლით, რადგან რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა და აგვისტოს ომი მიჩნეულ იქნა ფორსმაჟორულ სიტუაციად. ამის გამო, კომპანიის საქმიანობის პირველ წლად განისაზღვრა 2009 და არა 2008 წელი.

ხელშეკრულების მეორე, 2009 წლის 23 ივლისის ცვლილების თანახმად, 2009 წლის მინიმალური თანხის უდიდესი ნაწილის (1 მლნ ლარიდან 900.000 ლარის) გადახდამ გადაიწია ათი წლით, 2019 წლისთვის. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, მსგავსი გადავადება განხორციელდა „იმის ვარაუდით, რომ ამ დროისთვის „სითი პარკი“ შეძლებდა მომსახურების მიწოდებასა და საფასურის მიღებას“, რათა აენაზღაურებინა 2009 წლის მინიმალური ვალდებულების დარჩენილი ნაწილი.

2009 წლის ცვლილების მიზეზად დასახელდა იმავე წლის აპრილში რუსთაველის გამზირზე დაწყებული ოპოზიციური გამოსვლები, ე.წ. საკნების პროტესტი, რის გამოც კომპანიამ საქმიანობის განხორციელება მხოლოდ 2009 წლის აგვისტოში დაიწყო.

IDFI-ის კვლევის მიხედვით, მერია და „სითი პარკი“ მორიგდნენ არაერთ ცვლილებაზე, რომელიც საგრძნობლად ზრდიდა კერძო კომპანიის გარანტირებულ მოგებას და ამცირებდა თბილისის მერიის შემოსავალს.

2008-10 წლებში, თბილისის მთავრობას „სითი პარკისგან“ 3 310 000 ლარი უნდა მიეღო. ამ თანხიდან ხელშეკრულების მესამე ცვლილების მომენტისთვის „სითი პარკს“ გადახდილი ჰქონდა 1 737 400 ლარი და დარჩენილი ჰქონდა 1 572 600 ლარი, რომლის გადახდის ვადამაც 2020 წლის 31 დეკემბრამდე გადაიწია. „სითი პარკი“ აღარ იყო ვალდებული, თბილისის მთავრობისთვის გადაერიცხა ნებისმიერი სხვა თანხა, რაც ამ პერიოდში დაგროვდებოდა მის ანგარიშზე.

ხელშეკრულების გაწყვეტის პირობებში კი სწორედ ის დეტალებია, რომელიც დედაქალაქის ახალ ხელმძღვანელობას თითქმის მთლიანად ბოჭავს.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიასთან ხელშეკრულება გაწყდებოდა (თუნდაც არა მერიის მიზეზით, არამედ მაშინაც კი თუ შპს „სითი პარკი“ თავად შეწყვეტდა ხელშეკრულებას მერიის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო“), ხელშეკრულების დაწყებიდან 4 წლის განმავლობაში, „სითი პარკისთვის“ გადასახდელი კომპენსაცია დაანგარიშდებოდა შემდეგი ფორმულით — **500 000 ლარი გამრავლებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან ვადის დასრულებამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.** თუკი შეწყვეტა მოხდებოდა ხელშეკრულების დაწყებიდან 4 წლის შემდეგ, მერია ვალდებული იყო, აენაზღაურებინა შეწყვეტის ხარჯი, რომლებიც შემდეგი ფორმულით დაანგარიშდებოდა: **გასული 12 თვის განმავლობაში შპს „სითი პარკის“ მომსახურებიდან მიღებული საშუალო თვიური შემოსავალი გაყოფილი ორზე და გამრავლებული ხელშეკრულების შეწყვეტიდან მისი ვადის ბოლომდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.** საინტერესოა, რომ „სითი პარკის“ მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მას ანალოგიური რაოდენობის კომპენსაციის გადახდა არ ეკისრებოდა.

თუ „სითი პარკი“ არ შეასრულებდა მასზე აღებულ ვალდებულებებს, ან არაჯეროვნად შეასრულებდა მათ, მერიას შეეძლო, მოეთხოვა კომპენსაცია. ამ კომპენსაციის დაანგარიშების წესი, „სითი პარკისთვის“ გადასახდელი კომპენსაციისგან განსხვავებით, ხელშეკრულებაში დეტალურად გაწერილი არ ყოფილა.

თბილისის ვიცე-მერი ალექსანდრე მარგიშვილი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მთლიანად კომპანიის კომერციულ ინტერესებზეა მორგებული. „იგი არ ითვალისწინებს არც რიგითი თბილისელებისა და არც მერიის ინტერესებს, დაწყებული თანხების ამოღებით, განაწილებით, დამთავრებული იმით თუ როგორ შეიძლება ხელშეკრულების მოშლა. ყველა ასპექტი გათვლილია იმაზე, რომ „სითი პარკმა“ დაუმსახურებლად მიიღოს უზარმაზარი მოგება და თბილისის ხელმძღვანელობას არ ჰქონდეს საშუალება, შეაჩეროს ან შეზღუდოს ხელშეკრულება“, — აცხადებს მარგიშვილი.

ბექა დანელია

◎ ალიანჩალიანი

შიხიაშვილს ახალი თანამდებობა უბოძეს

ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის უფროსად თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილი დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე გიორგი ფერაძე შეცვალა. შიხიაშვილი აღნიშნულ თანამდებობას პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დაიკავებს.

მარიამ ჯაში თანამდებობიდან გათავისუფლდა

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მარიამ ჯაში თანამდებობიდან გათავისუფლდა. შესაბამისი ბრძანება პრემიერ-მინისტრმა გამოსცა და ის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზეა განთავსებული.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გათავისუფლება, მის ახალ თანამდებობაზე დანიშვნას უკავშირდება. მარიამ ჯაში პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილ „სოლიდარობის ფონდს“ უხელმძღვანელებს.

უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2014 წლის II კვარტალში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 151 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

„საბანკო სექტორში ცვლილება გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან თანხის გადადინებამ უცხოურ პორტფელის ინვესტიციებში“, — აცხადებენ სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში.

რაც შეეხება II კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილეს ინვესტორ ქვეყნებს, ესენი არიან: ნიდერლანდები, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი, თურქეთი, რუსეთი, აშშ, კვიპროსი, შვეიცარია, ჩინეთი და საფრანგეთი.

ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის II კვარტალში ყველაზე მსხვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში განხორციელდა და 101 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მეორე ადგილზე იმყოფება დამამუშავებელი მრეწველობა 58 მლნ აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე — ენერგეტიკა 45 მლნ აშშ დოლარით.

ინტერპრესი

◎ სტატისტიკა

ტურიზმი საქართველოში

წელს საქართველოს ზღვისპირეთში ტურისტების განსაკუთრებული სიმრავლე შეინიშნებოდა. ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად ამას ხელი შეუწყო აჭარისთვის უჩვეულოდ მზიანმა ამინდმაც. ადგილობრივი მოსახლეობა და მედია მიმდინარე ზაფხულს ბევრს ლაპარაკობდა იმაზე, რომ ეს იყო უპრეცედენტო სეზონი ტურისტების მოზღვავების თვალსაზრისით. პასუხს კითხვაზე, თუ რამდენად რეალურია ასეთი აღქმა და როგორ აისახა ეს სიტუაცია ციფრებში, ტურიზმის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული შვიდი თვის მონაცემები იძლევა. ამ მონაცემების თანახმად, ქვეყანაში შემოსულ ვიზიტორთა რაოდენობა 4 პროცენტით გაიზარდა, გასულ წელთან შედარებით. 2014 წლის იანვარ-ივლისში საქართველოში სულ 2 913 618, ანუ დაახლოებით 3 მილიონამდე, სტუმარი შემოვიდა. პირველ ხუთეულში არიან: თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი და უკრაინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სიაში ძირითადად უშუალო სამეზობლო შედის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საქართველოსადმი ტურისტული ინტერესი მნიშვნელოვნად იზრდება. კერძოდ, ყველაზე მეტად ლიტვიდან შემოსულ სტუმართა რაოდენობა გაიზარდა, ასევე 46 პროცენტით გაიზარდა პოლონეთიდან შემოსული ვიზიტორების რიცხვი. აქვე აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტად იკლო უზბეკეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან შემოსულ სტუმართა რაოდენობამ. ვიზიტორთა უმეტესობა საქართველოში საავტომობილო ტრანსპორტით შემოვიდა, მხოლოდ 12 პროცენტი შემოვიდა საჰაერო გზით.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივაზე საუბრისას საქართველოში ხშირად უსვამენ ხაზს იმ ფაქტს, რომ მისი ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორია ტრანსპორტის სიძვირე. ამას გარდა, სერიოზული პრობლემაა ხარისხიანი და საშუალო ფასის საწოლი ადგილები. რამდენად მომზადებული დახვდა ვიზიტორების გაზრდილ რაოდენობას საქართველოს სასტუმროები 2014 წელს, ეს, ალბათ, სეზონის საბოლოოდ დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

დღეისათვის კი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულია 2013 წლის სასტუმროების სტატისტიკა. დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2013 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა 836 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება. მათი რაოდენობა, 2012 წელთან შედარებით, გაზრდილია 7,6 პროცენტით. ნომრების საერთო რაოდენობა 2013 წელს, 2012 წელთან შედარებით, 6,1 პროცენტით გაიზარდა და 15,351 შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის განმავლობაში საქართველოს სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებს დაახლოებით 1,3 მილიონი სტუმარი სტუმრობდა, ხოლო მათგან 62 პროცენტი არარეზიდენტი იყო. სტუმართა რაოდენობა 2013 წელს, წინა წელთან შედარებით, 5,9 პროცენტით გაიზარდა. მცირედ არის გაზრდილი სასტუმროებში დასაქმებულთა რაოდენობაც და ოფიციალურად 8 735-ს შეადგენს.

ცხადია, ეს მონაცემები თავის თავში არ მოიცავს იმ კერძო სექტორს, რომელიც საკუთარი საცხოვრებელი ბინების გაქირავებით არის ჩართული ტურისტულ ბიზნესში. ვერც იმაზე ქმნის საბოლოო წარმოდგენას, რამდენად ხარისხიანი იყო მათ მიერ შეთავაზებული წინადადებები. ერთი რამ კი ფაქტია: ოფიციალურ სტატისტიკაში მოხვედრილი სასტუმროების რაოდენობა ნამდვილად არ შეესაბამება რეალურ მოთხოვნას — 3 მილიონამდე ტურისტს მხოლოდ 7 თვის განმავლობაში.

რადიო „თავისუფლება“

რა ქნას „პეპელამ“, ნაცებო?“

ყველამ კარგად იცის, ნაციონალებს რა მუცლის გვრემაც აწუხებთ

მმართველი გუნდი შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებულ პრევენციულ ღონისძიებებში კატასტროფულ გადაცდომებს ვერ ხედავს და განმარტავს, რომ თბილისის ქუჩებში მიმდინარეობს „პოლიციის შესახებ“ კანონით გათვალისწინებულ სპეციალური საპოლიციო კონტროლი, ნაციონალური მოძრაობა კი, „რეიდებზე“ აპელირებს და ძალოვან უწყებას ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს გაგრძელდება სპეციალური საპოლიციო კონტროლი, მაგრამ ძალოვანი უწყება განმარტავს, რომ პოლიციელები უფლებამოსილებას მაქსიმალური სიზუსტით და კანონის დაცვით ასრულებენ. პრევენციული ღონისძიებების მიზანი კი ყველანაირი დანაშაულისა და სამართალდარღვევის თავიდან აცილებაა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსგან განსხვავებით, საპარლამენტო უმცირესობა პრევენციული ღონისძიებებისგან წარმოქმნილ პრობლემებზე საუბრობს და ხელისუფლებას მოუწოდებს, კრიმინოგენურ ვითარებას გლობალურად ებრძოლოს და არა ერთკვირიანი ე.წ. რეიდებით.

ოპოზიციონერი დეპუტატის მიხეილ მაჭავარიანის შეფასებით, ასეთი ტიპის „რეიდები“ პრობლემას კრიმინალს კი არა, პატიოსან მოქალაქეებს უქმნის. მისი თქმით, ორდღიანი ღონისძიებები არაფრის მომტანი არ იქნება.

მეორე ოპოზიციონერი ლევან ბეჟაშვილი კი პოლიციელების მიერ უფლებამოსილების გადამეტებად აფასებს media.ge-ს ჟურნალისტისთვის ვიდეოკამერის ჩამორთმევას და ფირის წაშლას.

ოპონენტების კრიტიკას უმრავლესობა არ იზიარებს და აცხადებს, რომ ნაციონალური მოძრაობის მიზანია, ქვეყანაში არსებული პრობლემები მუქ ფერებში დახატოს, რადგან ქვეყნის წარმატება მისთვის პოლიტიკური სამარის ტოლფასია.

უფრო მეტიც, ოპონენტების კრიტიკის პარალელურად, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია საზოგადოებას მოუწოდებს, შეთანხმდეს — სჭირდება თუ არა ქვეყანას პრევენციული ღონისძებები, რადგან მისი მოსაზრებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო „ჭრელი პეპელა“ ვერ იქნება.

როგორც for.ge-ს ბესელიამ განუცხადა, საზოგადოების ერთი ნაწილი ხელისუფლებას საყვედურობს და მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტრო გააქტიურდეს.

„რაღაცაზე უნდა შევთანხმდეთ. შინაგან საქმეთა სამინისტრო ჭრელი პეპელა ვერ იქნება — ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები! პოლიციამ ბალანსი აუცილებლად უნდა დაიცვას, მაგრამ მეორე მხრივ, უსაფრთხოების დაცვა უმნიშვნელოვანესი საკითხია და პრევენციული ღონისძიებები ამისთვის ხორციელდება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ მოქალაქის უფლებები უნდა დაირღვეს. მოქალაქეს როცა გაჩერებენ, ეს გარკვეული დისკომპფორტი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს კანონის დაცვით უნდა მოხდეს. საზოგადოებაც უნდა შეთანხმდეს, გვინდა უსაფრთხოებისთვის პრევენციული ღონისძიებები თუ არა?!“, — განუცხადა for.ge-ს ბესელიამ, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილის გააქტიურებას ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურ სტრატეგიას უკავშირებს.

კანონმდებელის თქმით, გარკვეული ჯგუფი არის, რომელიც თემების გააქტიურებას პოლიტიკური მიზანშეწონილობით გეგმავს.

„მგონია, რომ ეს ფრთა ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სტრატეგიის ნაწილია. „ზონა ნიუსი“ რომ რაღაცას გააკეთებს, ჩემთვის ცნობილია, თუ რა მიზანს ემსახურება ის. წყალგამყოფი უნდა გაივლოს და იმას მივაქციოთ ყურადღება, თუ ვინ საუბრობს ამ ფაქტებზე, ის პირები, რომლებიც წინა ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლებების დარღვევებზე ხმას არ იღებდნენ?“, — დასძენს დეპუტატი, რომლის პათოსს იზიარებს ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე.

for.ge-სთან საუბარში კობახიძე ყურადღებას პრევენციული ღონისძებების მნიშვნელობაზე ამახვილებს და ამბობს, რომ მთავარია, პოლიციამ კანონის ფარგლებში იმოქმედოს და ადამიანის უფლებების დარღვევა არ მოხდეს.

„როცა მოქალაქე კამათობს და პოლიციას წინააღმდეგობას უწევს, ეს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. კანონმორჩილნი უნდა ვიყოთ! პოლიციის უფლებები გაწერილია „პოლიციის შესახებ“ კანონში და თუ ამას დაემორჩილება მოქალაქე, მას არანაირი პრობლემა არ ექნება. უფლებამოსილების გადამეტების ნებისმიერი ფაქტი რეაგირებული იქნება, რადგან არ შეიძლება, წესრიგის დამყარების პროცესში პოლიციელმა ადამიანის უფლებები დაარღვიოს“, — აღნიშნავს კობახიძე.

ვიცე-სპიკერი მიიჩნევს, რომ პოლიციის უაპელაციოდ გაკრიტიკება არასწორია.

„ერთი ამბავია ატეხილი, ლუდის დალევისთვის ადამიანი დააჯარიმესო, მაგრამ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება ადმინისტრაციული სასჯელით რეგულირდება. როგორც ჩანს, ეს ვიღაცებს არ მოეწონათ. ერთი მხრივ, თუ კონტროლის გამკაცრებაზე ვსაუბრობთ, თუ პოლიციამ ადამიანი არ შეაჩერა და არ გააჩერა, დანაშაულის პრევენცია როგორ მოხდება?!“, — აცხადებს დეპუტატი.

თანაგუნდელების მსგავსად, ნაციონალურ მოძრაობას მკაცრად აკრიტიკებს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი.

„იმ ჭკუამდე მივედით, რომ საჭიროა ასეთი ღონისძიებების გატარება და ამით ბევრი ადამიანი კმაყოფილია. ეს საზოგადოებრივ ინტერესს ემსახურება. ამ პროცესში გადაცდომები იქნება იმდენად რამდენადაც, იმ სტანდარტების დანერგვას ახლა ვიწყებთ, რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მიღებულია. რაიმე კატასტროფულ გადაცდომებს ვერ ვხედავ, მაგრამ თუ იქნება ცემის ფაქტები, ამაზე რეაგირება უმკაცრესად მოხდება. როგორც ეს იმ პოლიციელის შემთხვევაში მოხდა, რომელიც ავტომობილიდან იგინებოდა. ეს პირი სამინისტრომ სამსახურიდან გაათავისუფლა“, — განუცხადა for.ge-ს სესიაშვილმა, რომელიც უმცირესობას მკაცრად აკრიტიკებს.

დეპუტატის თქმით, კრიმინალი ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების სათავეში იყო.

ნაციონალური მოძრაობა ცდილობს ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის მუქ ფერებში დახატვას, რადგან მათ ამ ქვეყნის წარმატების ეშინიათ. იციან, რომ წარმატებული ქვეყანა მათი პოლიტიკური სამარე იქნება. იმ ძალას რა უნდა ველაპარაკო, რომელსაც საკუთარი კრიმინალური წარსულისთვის ბოდიში არ მოუხდია?! ნაციონალური მოძრაობის „მოღვაწეობის“ გახსენება არ მიყვარს, რადგან კრიმინალი ხელისუფლებაში მათი მმართველობის დროს იყო. ქვეყანას კრიმინალი მართავდა იმ მეთოდებით, რომელიც ძალიან შორს იყო დემოკრატიული ნორმებისგან“, — აცხადებს სესიაშვილი, რომელიც თავის მხრივ, არასამთავრობოსაც აკრიტიკებს და ამბობს, რომ არიან არასამთავროები, რომლებიც ნაციონალების წიაღში დაიბადნენ, გამაგრდნენ და ახლა ახალ ხელისუფლებას აქილიკებენ.

დეპუტატების გარდა, სპეციალური საპოლიციო კონტროლის თაობაზე განმარტებებს ძალოვან უწყებაშიც აკეთებენ. შს მინისტრის მოადგილის ლევან იზორიას განცხადებით, ე.წ. რეიდების შედეგები ძალიან კარგია და საზოგადოება მას პოზიტიურად და დადებითად აღიქვამს.

მისი ინფორმაციით, ეს არ არის რეიდები, როგორც საბჭოთა რეალობისთვის იყო ცნობილი, არამედ ეს არის სრულიად ახალი, სპეციალური საპოლიციო კონტროლი, რომელიც შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

„სპეციალური საპოლიციო კონტროლის შედეგების შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით გახდება ცნობილი, როდესაც სტატისტიკური მონაცემები დაჯამდება. ერთია, რომ პოლიციელმა იცის, რა ფარგლებში მოქმედებს, მეორეა, მოქალაქემაც იცოდეს, რა ფარგლებში აქვს პოლიციელს მოქმედების საფუძველი. ხშირ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეს აქვს პრეტენზია, არ იცის, რომ პოლიციელს ამ კონკრეტული ღონისძიების ფარგლებში ზედაპირული დათვალიერების და შემოწმების უფლება აქვს. ჩხრეკის უფლება კი აქვს მაშინ, როდესაც სამართლებრივი საფუძველი წარმოიშობა. დარწმუნებული ვარ, ხშირად მოქალაქემ არ იცის პოლიციელის კანონიერი უფლების შესახებ და სასურველია გაეცნოს“, — განმარტავს იზორია.

შეგახსენებთ, რომ „პოლიციის შესახებ“ კანონით, პოლიციელს უფლება აქვს, პიროვნება გააჩეროს და ზედაპირულად შეამოწმოს, რაც ჩხრეკას არ გულისხმობს. ამასთან, გონივრული ეჭვის საფუძველზე, პოლიციელს აქვს ადმინისტრაციული გასინჯვის და დაკავების უფლება. ასევე პოლიციელს აქვს უფლება, პირს მოსთხოვოს იდენტიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, და თუ წარმოიშვება ეჭვი იმისა, რომ პირი საეჭვოა, წარსულშია ნასამართლევი ან არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა შეიძლება დანაშაული ჩაიდინოს, ან იმყოფება ალკოჰოლური/ნარკოტიკული თრობის ქვეშ, შესაძლებელია, მოხდეს მისი შემოწმება, მაგრამ შემოწმება არ უნდა ლახავდეს პირის პატივსა და ღირსებას.

თეონა მანაგაძე

◎ კაკალ გულში

წეროლოჯანი ოჯახები

● ეს ქოცები მაგარი კლიენტები არიან. ნაცებმა, რუსთავი-2“-ით ატეხეს შიშმატი, აუუ კრიმინალმა წაგვლეკაო. ესენი ფინთი გოიმებივით ავარდნენ და პატრულს ეგრევე რეიდები დაავალეს. ნაცებმა ხო იცოდნენ პატრულის ამბავი (ვინ არ იცის), იქ ვიღაცას პივის დალევა აუკრძალეს, ვიღაცას ებლატავნენ (ნუ როგორც ყოველთვის იყო მილიციის დროიდან).

ახლა ნაცები ქოცებს უტევენ, ეს რეიდები ადამიანის უფლებების დარღვევააო.

კაროჩე რა, „რუსთავი-2“-ში რომ თქვან მტკვარში გადახტომაა აუცილებელიო, ალბათ ...

● რომელიმე „ალისტრახო“ — საზმაუს საინფორმაციოს უფროსად!

შეიძლება — ზონდერიც.

● ერთი რამე მაინტერესებს ძალიან: იმათაც ჟურნალისტები ქვიათ, რომლებიც, ვთქვათ, ვინმე VIP-ი ვიღაცას შმუთავს, ან იმ დღეს ხორციანი სადილი აქვთ სახლში, თუ ტყუილი სუპი და ამას მთელი მონდომებით აშუქებ-ატრიალებენ? სახელმწიფომ სადამდე უნდა უყუროს ამ სიბინძურეს? არ უნდა ისჯებოდეს სხვისი პირადი ცხოვრების ხელყოფა, ფარული ჩანაწერები, შანტაჟი დ.ა.შ.? შევაგროვოთ ხელმოწერები და მივმართოთ სასამართლოს: ყველა ასეთ ჟურნალისტიკას ამოფარებულ ბინძურს აეკრძალოს სიცოცხლის ბოლომდე ჟურნალისტური საქმიანობა.

NATO-ს Gold Card-ით ამაზონზე რაკეტებს გამოვიწერთ?

● „გუნდი, რომელიც კოალიციის სახელით არის შექმნილი, ის(?) ყოველთვის საშიშროების მატარებელია...“

„სახელმწიფოს(?), რომელსაც აქვს საზღვრო დავა ნებისმიერ ქვეყანასთან, ის(?) ვერ გახდება ნატოს წევრი...“

ეს ნაწყვეტები, ერთი ლიდერი გაზეთის, ორი ცნობილი ავტორის სტატიებიდანაა და სულაც არ მხვდება პირველად...

„იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა“ და ახლა ასე იწერება? მანუგეშეთ, მითხარით (მიმღერეთ) რამე...

● გთავაზობთ ახალ პროექტებს: 15 სადღეგრძელო, რომელიც აუცილებლად უნდა დალიო! 15 X 10 დეპუტატი, რომელიც არ უნდა აირჩიო! 15 ფეხბურთელი, რომლებიც არ უნდა ათამაშო! დ.ა.შ.

საზოგადოება „ივერიის“ დამფუძნებელი ნიკა რურუა აცხადებს პრესკონფერენციაზე, რომ პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს შორის დაპირისპირებაა სამიტებზე გამგზავრება-არგამგზავრებასთან დაკავშირებით...

რა ნიკა რურუას და მისი „ივერიის“ საქმეა ღარიბაშვილი წავა სამიტზე თუ მარგველაშვილი?

ის ჟურნალისტიც მაგარი იქნება, ვისაც ამ საკითხზე, ნიკა რურუას აზრი აინტერესებს.

რამდენ სამიტზე გინახავთ გერმანიის პრეზიდენტი? კაცი, ან ქალი, ალბათ. სადმე ზის კუთხეში და ქარგავს თავისთვის. თუ ანგელა მერკელი პრეზიდენტი გგონიათ?

ასე რომ, ნიკა რურუას ურჩევნია დათა თუთაშხიას პოზიცია დაიკავოს, სანამ მის „საქმეში“ არავინ ჩარეულა!

● ახლა უპრიანი არ იქნება ყველა თანამდებობის პირს, სულ ცოტა, 15 წაკითხული წიგნის შინაარსის მოყოლა დაევალოს და ეს სავალდებულო გახდეს!..

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ჩაკ ჰეილეგი: აშშ-სა და საქართველოს შორის კავშირის განმტკიცებას პუტინმა შეუწყო ხელი

პენტაგონის ხელმძღვანელი ვაშინგტონისა და თბილისის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ

პრეზიდენტ პუტინის მოქმედებებმა კიდევ უფრო დაახლოვეს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მეგობრები ევროპაში, მათ შორის საქართველოც, განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჩაკ ჰეიგელმა თბილისში. პენტაგონის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „აუცილებლად“ გააგრძელებს საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებას, „განსაკუთრებით რუსეთის უკრაინაში მოქმედების ფონზე“.

„ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავს საკითხს საქართველოსთვის თავდაცვითი შეიარაღების მიწოდების შესახებ, – განაცხადა 7 სექტემბერს თბილისში პრესკონფერენციაზე მან. **– ჩვენ განვიხილავთ, კერძოდ, რა ნაბიჯები გადაიდგმება ჩვენი თანამშრომლობის გაძლიერებისათვის საქართველოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად“. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ მისი საქართველოს თავდაცვის მინისტრთან ირაკლი ალასანიასთან შეხვედრის დროს „განიხილებოდა საქართველოს მიერ ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების შეძენის შესაძლებლობა და ისიც, თუ რა უნდა გააკეთოს ამისათვის საქართველოს მხარემ“.**

საკითხი შეეხებოდა საქართველოს მხარის მიერ გამოთქმულ სურვილს, შეეძინათ სამხედრო შვეულმფრენები. ჰეიგელის სიტყვებით, მან ალასანიასთან ერთად განიხილა საქართველოს მიერ გამოთქმული თხოვნის დეტალები, მათ შორის შვეულმფრენების ფასები და ხელმისაწვდომობა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები „მუდმივად აქცევს ყურადღებას იმას, თუ რა შეიძლება კიდევ გაკეთდეს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობის გაძლიერებისათვის“.

„ჩვენ მეტს გავაკეთებთ“, – დაგვპირდა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების ხელმძღვანელი.

შეგახსენებთ, რომ 3 სექტემბერს ტალინში გამოსვლის დროს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ნატოს წევრმა ქვეყნებმა „უფრო მეტი უნდა გააკეთონ“ თავიანთი პარტნიორებისთვის, მათ შორის საქართველოს და მოლდოვისთვის, „აგრეთვე გააძლიერონ მათი თავდაცვა“.

ჩაკ ჰეიგელმა მხარი დაუჭირა საქართველოს „თავშეკავებულობის პოლიტიკას“ რუსეთთან დამოკიდებულებაში და მოუწოდა მოსკოვს, გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან.

ჰეიგელის ორდღიანი ვიზიტი საქართველოში გაიმართა უელსში ნატოს სამიტის დამთავრების უმალვე. პენტაგონის ხელმძღვანელი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს, პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს, თავდაცვის მინისტრს ირაკლი ალასანიას და ქვეყნის ხელმძღვანელობის სხვა წარმომადგენლებს. იგი იყო აგრეთვე კრწანისის სასწავლო ცენტრში, სადაც შეხვდა ქართველ და ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც კრწანისის ბაზაზე იმყოფებიან, როგორც ინსტრუქტორები. შეხვედრაზე ჰეიგელმა გამოთქვა მადლობა ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების წვლილთან დაკავშირებით საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში ავღანეთში.

„სასურველი მეზობელი“

თავის მხრივ, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველოს ურთიერთობა ნატოსთან და შეერთებულ შტატებთან „არ არის მიმართული ვინმეს წინააღმდეგ“. ალასანიამ დააზუსტა: ამ თანამშრომლობის მიზანია, უზრუნველვყოთ საქართველოს და ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება.

ანალოგიური განცხადება უფრო ადრე უელსში გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა.

„ვერ ვხედავთ ვერანაირ ლოგიკას იმაში, რომ საქართველოს ევრორატლანტიკური მისწრაფებანი აღქმული იქნეს ჩვენი მეზობლების მიერ „აგრესიულად“ ანდა რომ ეს მოქმედებები გამაღიზიანებელი იყოს მათთვის. სტაბილური, დაცვითი საქართველო, რომელსაც არანაირი პრობლემა არ ახლავს თან, არამედ, პირიქით, თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, იქნება სასურველი მეზობელი რეგიონის ყველა ქვეყნისთვის და განსაკუთრებით რუსეთისთვის“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა 5 სექტემბერს.

ჩაკ ჰეიგელთან ერთობლივი ბრიფინგის დროს ირაკლი ალასანიამ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობით ნატოს მიერ მიღებული „გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი“ განხორციელდება უახლოეს პერიოდში.

„უელსში ჩვენ ვისაუბრეთ სიტუაციის შესახებ, რუსეთის სამხედრო აგრესიისა და სხვა მიმდინარე პროცესების შესახებ, იმის შესახებ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთის მოქმედებები ევროატლანტიკური უსაფრთხოებისათვის, ევროპული უსაფრთხოებისა და უშუალოდ საქართველოს უშიშროებისათვის. ჩვენ ასევე განვიხილეთ ორმხრივ ურთიერთობათა კიდევ უფრო განვითარება და საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. გაძლიერებული თანამშრომლობის პაკეტი, რომელიც მიიღო ნატომ ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რეალიზებული იქნება უახლოეს მომავალში“, – თქვა ალასანიამ პრესკონფერენციაზე, როდესაც კომენტარს უკეთებდა თავის შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრთან.

საქართველო და კოალიცია „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ

ჩაკ ჰეიგელმა აცნობა ჟურნალისტებს, **რომ ირაკლი ალასანიასთან შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს შესაძლო მონაწილეობა ამერიკის შეერთებული შტატების კოალიციაში „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ.** საქართველოს თავდაცვის უწყების მეთაურმა განმარტა, რომ, მართალია, ჯერჯერობით არ ყოფილა მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს როლის შესახებ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, საქართველოს შეუძლია, შეიტანოს თავისი წვლილი „სწავლების“ უზრუნველყოფაში.

„ჩვენ განვავითარეთ ინსტიტუციონალური მშენებლობის გამოცდილება, რაც შეიძლება დაეხმაროს ერაყელებს თავიანთი შეიარაღებული ძალების კონსოლიდაციაში. სწავლება – ესაა ის, რაც გონებაში მოგდის, მაგრამ, როგორც ჩვენი ერთობლივი საუბრის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ვფიქრობ, საქართველო შეძლებს, დაეხმაროს იმაში, რისი მიღწევაც სურს კოალიციას“, – განაცხადა ალასანიამ 7 სექტემბერს.

„მნიშვნელოვანი გამარჯვება“

ჩაკ ჰეიგელი საუბრობდა **იმ შესაძლებლობების შესახებაც, რასაც საქართველოს ანიჭებს „განსაკუთრებული პარტნიორის“ სტატუსი, რომელიც ქვეყანას 5 სექტემბერს მიენიჭა უელსის ნატოს სამიტზე.**

„საქართველოს, როგორც ნატოს პარტნიორის, ახალი სტატუსი გაძლიერებული შესაძლებლობებით არის ახალი ეტაპი ალიანსისკენ მიმავალ გზაზე. თანამშრომლობის გაღრმავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყირიმის ანექსიის ფონზე, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს და რომელიც წარმოადგენს საფრთხეს რეგიონისთვის – ისევე როგორც რუსეთის მოქმედებები საქართველოში... საქართველოს ნატოში საბოლოო გაწევრება არის ის, რისკენაც იგი კვლავინდებურად მიისწრაფის. და ამ მიზნის მიღწევის პროცესი მეტად მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ საქართველომ სამიტის შედეგებში უნდა დაინახოს მნიშვნელოვანი გამარჯვება და თავის შესაძლებლობათა არსებითი გაძლიერება“, – განაცხადა ჩაკ ჰეიგელმა და დაგვპირდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს, კვლავაც დაუჭიროს მხარი საქართველოს – **„ერთგული და საიმედო პარტნიორის“,** – ძალისხმევას თავდაცვის მოდერნიზაციის საქმეში.

შეგახსენებთ, რომ ნატოს სამიტზე, რომელიც უელსში 4-5 სექტემბერს გაიმართა, საქართველოს მიანიჭეს **„გაძლიერებული თანამშრომლობის“ ზომების პაკეტი, რომელიც, ალიანსის გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის სიტყვებით, დაეხმარება ქვეყანას, „წაიწიოს წინ ალიანსის წევრობისაკენ მომზადებაში“.** როგორც სამიტის დეკლარაციაშია აღნიშნული, „პაკეტი“ მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებას და გულისხმობს, კერძოდ, ერთობლივი სწავლების მოწყობას.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

პენტაგონის ხელმძღვანელმა გააკეთა არაერთმნიშვნელოვანი განცხადება უკრაინისთვის იარაღის მიწოდების შესაძლებლობის შესახებ

ჩაკ ჰეიგელი პირდაპირ არ უარყოფს შეთანხმების არსებობას: მან მხოლოდ აღნიშნა, რომ არ იცის ამგვარი „საიდუმლო გარიგების“ შესახებ. ადრე ინტერესს ამ თემისადმი აღვივებდა უკრაინელი პოლიტიკოსების არაერთმნიშვნელოვანი განცხადებები. ვარაუდობენ, რომ საიდუმლო შეთანხმება უკრაინასა და ნატოს შორის დაიდო უელსში სამიტზე.

ამერიკის შეერთებული შტატები დაბეჯითებით მოითხოვს ახალ სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ

ამის შესახებ განაცხადა თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს ოფიციალურმა წარმომადგენელმა. ამავე დროს მან არ უპასუხა შეკითხვას, აპირებს თუ არა ვაშინგტონი ახლა, დაელოდოს ევროკავშირის მორიგ ნაბიჯს, რათა მოახდინოს მასთან მოქმედების სინქრონიზაცია, ანდა ამერიკის შეერთებული შტატები, უკვე მარცო უახლოეს პერიოდში გამოიყენებს სანქციების საკუთარ ახალ პაკეტს.

ტერორისტული აქტი ჩილეს დედაქალაქის მეტროში: არიან დაზარალებულები

წინასწარი მონაცემებით, ასაფეთქებელი მოწყობილობა საათის მექანიზმით ჩამონტაჟებული იყო ცეცხლსაქრობში, რომელიც გატენილი იყო დენთით. ბოროტმოქმედმა ბომბი სწრაფი კვების კაფეს პირდაპირ სანაგვე ბაკში ჩააგდო მეტროს სადგურზე. ხელისუფლებამ მომხდარს უკვე ტერორისტული აქტის შეფასება მისცა.

რუსულმა თვითმფრინავებმა შემოუფრინეს კანადის ხომალდს, რომელიც შავ ზღვაში ნატოს მეცადინეობაზე ჩავიდა, განაცხადა კანადის თავდაცვის სამინისტრომ

ორი სუ-24 და ერთი ან-26-ის მოქმედებები, რომლებიც ხომალდის თავზე გადაფრინდნენ, „გაუმართლებლად პროვოკაციული იყო“ და შექმნეს დაძაბულობის ესკალაციის რისკი, აღნიშნეს კანადის თავდაცვის სამინისტროში. მოსკოვში უარყოფენ: თვითმფრინავები ხომალდს არ მიახლოებიანო.

ს. კ-ანა-დან იორდანეამდე

კაპერნაუმი, თორმეტ მოციქულთა ტაძარი.

ხშირად ასეც ხდება, — მოგზაური წინასწარ არჩეული მარშრუტიდან გადაუხვევს ხოლმე და ფაქტების და მოვლენების ქრონოლოგიურ თანამიმდევრობაზეც ნაკლებად ფიქრობს. ასეა მწერალიც! ამას თავისი მრავალი მიზეზი აქვს და თუ უფალმა ინება, ყველა ისინი განაპირობებენ თავისუფალი თხრობის სურვილს, რისკენაც მიილტვის ავტორი. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ მე და ჩემი თანაკლასელი მეგობარი გვანჯი მანია, რომელსაც ახლახან დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა და მრავალი ასეთი მარშრუტის ავტორი და შემსრულებელი ყოფილა (თუ მანამდე მოვასწარი ჩამოსვლა, ხომ კარგი, მაგრამ... თუ ვერა!... — წმინდა მიწიდანვე მივულოცავ მას ამ სიჭარმაგის ასაკს!). იმ მარშრუტებზე მასთან ერთად „მიღვაწია“ და დაგვეჯერება ნათქვამი: — ხშირად შეიძლება „ქრონოლოგიურობა“ დაირღვეს-მეთქი რომ ვამბობ! რას ვგულისხმობ ამაში? — იმას, რომ თუ შენი მოსანახულებელი ობიექტი ასეული წლით თუ, ათეული თვით ადრეა აღრიცხულ-დათარიღებული , შენ შეგიძლია ღამაზი თხრობის „შესაწირად“ (ან სხვადასხვა საპატიო მიზეზის გამო), ადგილები შეუცვალო და „მეორეზე“ პირველად მოუყვე მკითხველს, ხოლო „პირველზე“ — მეორედ! ამით არაფერი იცვლება, გარდა იმისა, რომ მკითხველს უფრო დავაინტერესებთ და „ვაიძულებთ“, ბოლომდე წაიკითხოს ჩვენი ჩანაფიქრი.

...გაგეცინათ, ალბათ?!... მუდამ სიკეთით გაცინოთ უფალმა!

მე კი, სათქმელი და მოსაყოლი კვლავ ბევრი მაქვს, ზოგი ისტორიულ-ბიბლიურ სიუჟეტებზე დამყარებული, ზოგიც — საკუთარ გონებაში წარმოსახული! მათზე „საქართველოს რესპუბლიკამ“ უკვე დაბეჭდა ნარკვევების მთელი სერია, მაგრამ მოსაყოლს რა გამოგილევს წმინდა მიწამოვლილ კაცს?

...მოდით, გავუყვეთ ბილიკებს! ოღონდ, ქრონოლოგიურობას ოდნავ დავარღვევ, — იორდანეზე მოგვიანებით ჩავალთ, კანადან და კაპერნაუმიდან, რომ დავბრუნდებით!...

...კანაში, ასწლოვანი თუთის ხის ჩრდილქვეშ შეგროვილიყო ჯალაბი. საქორწინო სუფრა გაეშალათ და იყო ღიმილი და სათნოება. სუფრას სიღარიბე ამშვენებდა და ეს სიღარიბე ღვთაებრივი სიდიადით იყო მორთული. ქორწინდებოდა წმინდა მარიამის სისხლი და ხორცი, მონა ღვთისა კანანელი სვიმონ!

ღვთიურმა ნათელმა გაანათა გარემო და თაბორის მთიდან და იორდანეს ჭალაკებიდან მონაბერმა სიომ აპკურა ლოცვანი არეს. მდინარე იორდანეს უკვე ეცვალა ნირი და ეცვალა გეზი.

მაცხოვარს უკვე ეღო ნათელი მის ტალღებში!

გუგუნებდა ქორწილი ერთობ, და ციდან იღვრებოდა კურთხევა!

იორდანეში მირონცხებული მაცხოვარი და ღვთისმშობელი მობრძანებულიყვნენ სტუმრად კანაში! ახლდნენ მათ პეტრე, იოანე და იაკობი, რომელთაც უკვე ეხილათ ფერისცვალება მაცხოვრისა თაბორზე!

— იესოა ძე ღვთისა, მაცხოვარი ჩვენი!...

— მარიამი სიწმინდეა ჩვენი და ღვთისმშობელი!...

— დიდება უფალს!... დიდება მაცხოვარს!... დიდება ღვთისმშობელს!... დიდება, დიდება, დიდება!...

სვიმონი კალთაზე ემთხვია ღვთისმშობელს. მუხლებზე დაეცა იესოს წინაშე და პატარძალი შეავედრა გულმხურვალედ.

იხაროდნენ თანამეინახენი და მიდიოდა ქორწილი წესით და რიგით, მაგრამ „შუა- სუფრობისას“ ღვინო შემოაკლდა თამადას. შეშფოთდნენ კანანელნი, — ვერ ეყო სასმელი სადღეგრძელოებს!

— არა არს დროი წუხილისა!... გვიშველის მისი ძალი და ილაჯი!.. — გაიფიქრა ღვთისმშობელმა და უჩუმრად მიმართა იესოს:

— მოეც ღვინო ღარიბ მოკეთეთა შენთა!...

იესომ თავი დახარა მშობლის წინაშე და თქვა:

— გაავსონ ქვევრები წყლით!...

და გაავსეს ქვევრები წყლით იორდანეისა.

...და წყალი გარდაიქცა მათში წმინდა ნუნუად!

... და გაგრძელდა ქეიფი ღვთივკურთხეული. მხოლოდ თამადამ უსაყვედურა ღიმილით მასპინძელს:

— რაღა, ბოლოსთვის შემოგინახავს ეს შარბათი, შე კაცო?..

უყურებდა სვიმონი ღვთის სასწაულს და გულში და მესიის დიდება იღვრებოდა.

...ეს იყო პირველი სასწაული მაცხოვრისა!

...ეს იყო პირველი კურთხევა მისი ძალისა და სიკეთისა!

...ეს იყო დიდი გზის სასწაულებრივი დასაწყისი!

...ქორწილიდან დღესა მესამესა იქნენ პირველ მოწოდებული მოციქულებად ანდრია პირველწოდებული და პეტრე, იაკობ ზებედესი და იაკობი, ფილიპე და ბართოლომე, თომა და მათე, იაკობ ალფესი და იუდა იაკობისი, მატათა და სვიმონი კანანიდან...

...და უნდა ყოფილიყო მეცამეტეც, — იუდა ისკარიოტელი, — სულმდაბლობა, რომელმაც გასცა მაცხოვარი!

მათგან სამთა კი, ღვთისმშობელმა სთხოვა, — წასულიყვნენ და ეზიარებინათ მარიამის წილხვედრი ქვეყანა — „მეორე ეთიოპიად“ წოდებული საქართველო!

და წავიდნენ მოციქულნი კ-ანა-ანითგან კოლხთა ქიან-ა-ში!...

ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა

პატრიარქის ბარელიეფი.

განანათლეს კოლხეთი და აფხაზეთი, მატათამ, — აჭარა და პონტო.

ანდრიამ ჩრდილოეთისკენ გააგრძელა გზა. სვიმონი აფხაზეთში დარჩა და ფსირცხას გამოქვაბულებიდან ქადაგებდა ქრისტეს... და იგი 55 წელსა შინა ჩაქოლეს კერპით დაბრმავებულებმა... და საქართველოს უკიდურეს ჩრდილოეთს, ნიკოფსიას დაფლეს მისმა მოწაფეებმა.

მატათამ გონიოში განისვენა სამარადისოდ!

ეს მოხდა მანამდე!... კანაში, კი, მას ჟამსა, მაცხოვრის გარშემო შეიკრიბნენ მოციქულები და აუყვნენ ნაპირს გენესარეთისა. ღვთისმშობელს, პეტრეს, ანდრიას, იაკობს და მაცხოვარს ელოდა „თავისი ქალაქი“, — კაპერნაუმი, სასწაულთა, მკვდრეთით აღდგომისა და სნეულთა განკურნების ქალაქი!

...მადლობა უფალს, რომ ჩვენც მოგვცა ძალი და სურვილი ამ ნატერფალს მივყოლოდით ახლა!

მზე სიკეთით აცხუნებდა გალილეას. იქით, დაბლა მშვიდად თვლემდა ზღვა კენერეთისა, ზღვა გალილეისა, ტბა გენესარეთისა. ტალღებზე ნანაობდნენ კანჯონი მეთევზეთა და ორაგულით სავსე ბადის ამოზიდვას ელოდებოდნენ ნაპირზე მეთევზენი.

მეწამულგუმბათიანი ტაძარი გადაჰყურებდა სივრცეს და ქვეყნიერებას უყვებოდა მრავალ სასწაულს:

ათასწლოვანი თუთა.

კაპერნაუმელთ გაეშალათ მოკრძალებული მცირე ტაბახა-ტაბაკი და უპოვარნი სადილობდნენ მოკრძალებით.

მრავლად იყვნენ იესოს ქალაქში დამშეულნი და ყველას ვერ ყოფნიდა ტრაპეზი, — მცირედ იყო თევზი და პური.

დამშეული ხალხი, ის-ის იყო, ნელ-ნელა იშლებოდა, სხვაგან საძებრად ლუკმისა.

იესომ იკითხა:

— რატომ მიდიან უპოვარნი?... ისინი ხომ აქ საჭმელად მოვიდნენ?

უპასუხეს მას:

— ჩვენ აქ, მხოლოდ ხუთი პური და ორი თევზი დაგვრჩა და არ ეყოფათ მათ!...

— არ ეგების წასვლა!... აქ მომიტანეთ ის ხუთი და ორი!.. — და უბრძანა ხალხს ბალახზე დამსხდარიყვნენ ველზე.

აიღო ხუთი პური და ორი თევზი, ზეცას ახედა, აკურთხა, დაამტვრია და მისცა მოწაფეებს. მოწაფეებმა კი, ხალხს დაურიგეს.

... და მოხდა სასწაული, — ყველამ ჭამა და განძღა, ხოლო მჭამელი 5000-მდე კაცი იყო, გარდა ქალებისა და ბავშვებისა. დარჩენილი ნატეხები პურისა და თევზისა აკრიფეს და 12 სავსე გოდორიი გამოვიდა!...

...და დაიწყო კაპერნაუმში მკვდრეთით აღდგინება, სნეულთა განკურნება და მრავალი სასწაული... და ეწოდა ქალაქს „მისი ქალაქი“!

ვდგევართ მეწამულგუმბათიანი ტაძრის ეზოს ბჭეკართან და გადავყურებთ ჩვენს წინ გადაშლილ ზღვას კენერეთისას, რომელსაც ერთვის და გაედინება მსოფლიოში ყველაზე უწმინდესი მდინარე იორდანე და კადრში ვხედავთ, როგორ განიბანება მის მორევში ჩვენი პატრიარქიც, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეც და გული მოწიწებით გვევსება. ვაკავშირებთ ერთმანეთთან შუმერთა სამერთიანი ღმერთის სახელს, „გალილეის კ-ან-ა“-ს, მეგრულ-ქართულ „ქი-ან-ა“-ს და შუმერთა სამერთიანი ღმერთის სახელს...

უძველესი შუმერები კი, ამბობდნენ:

„თავიდან იყო ერთი ღმერთი, „აბზუ“! მერე განიყო იგი და გახდა სამი ღმერთი: — “ან“ცეცხლისა და ცის უზენაესი ღმერთი; „ქი“, მიწის ღმერთი და „ა“, იგივე, „ეა“, წყლის ღმერთი! მრავალს ეაჯებოდნენ ადამიანები „ან“ უზენაესს, მაგრამ ძალიან შორი იყო „ანამდე“ და ადამიანთა ხვეწნა ვერ აღწევდა მასთან. მერე იფიქრეს ადამიანებმა: — მოდი, ახლო ღმერთს შევსთხოვოთო სათხოვარი. ახლო ღმერთი კი, მათ წინ გადაშლილიყო, — „ქი“! და გახდა „პირველი ღმერთი „ქი“. და ისმინა „ქი“ ღმერთმა ხვეწნა ადამიანთა და მისცა მათ სარჩო და საბადებელი. „ან“ ღმერთმა კი, გადაინაცვლა მეორე ადგილზე. „ა“ ღმერთი კი, კვლავ დარჩა მესამეზე!

ასე დაერქვა სამყაროს „ქი-ან-ა“, ამიტომ მივამსგავსე „ქი-ან-ა“-ს „კ-ან-ა“!

იქნებ ასეა ეს? იქნებ, — არა! მაგრამ იორდანეში პატრიარქის განბანვის კადრები, რომ ვიხილე, ასე მეგონა, მეც იქ ვიყავი და მაცხოვარი დამყურებდა ღიმმოსილი.

...იორდანე დინჯად მიუყვებოდა გალილეას და მაცხოვრის ნათლისღების ბრწყინვალე მდინარებას, რომელსაც მირიან მეფის, გორგასლის, თამარის და ერთობლივი საქართველოს სახელით პატრიარქმა გრანიტის სამშვენისით მოჩუქურთმებული ბარელიეფი მიუძღვნა თაყვანისცემად:

„და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესუ ნაზარეთით გალილეაისით და ნათელ-იღო იოანესაგან იორდანესა. და მეყვსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილა ცანი განხუმულნი და სული ღმერთისი გარდმომავალი, ვითარცა ტრედი, მას ზედა და ხმაი იყო ზეცით: ძე ჩემი საყვარელი, შენ სათნოგყავ“.

(სახარება მარკოზისი, 1, 9, 10, 11)

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, ილია მეორე. 2008 წელი.

ზაურ ფიფია.

2014 წელი.ივნისი.

ფოტო ია ფიფიასი

(გაგრძელება იძნება)

◎ ჭიდაობა

გაჩუქებული ოქრო

უზბეკეთის **დედაქალაქ ტაშკენტში მიმდინარე თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ დღეს გორელმა ფალავანმა ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. უკვე ვიუწყებოდით, რომ ფინალური პაექრობა ჩვენებურმა ჩრდილოკორეელ კიონგ ლი იანგთან დათმო. აზიელი მსოფლიოს 2009 წლის ჩემპიონი და ლონდონის ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანია, ახლა კი მეორედ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.** მან ლადოზე უფრო ძლიერი ბადე გაიარა – მის მხარეს იყო მსგავსი შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული ირანელი ჰასან რახიმი, რომელსაც ნახევარფინალში აჯობა. ამ უკანასკნელმა რუსთა ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ვიქტორ ლებედევი დაამარცხა. ქართველმა ევროპის ჩემპიონმა და ლონდონის ოლიმპიადის პრიზიორმა პირველ წრეში ჩილელ ანდრე რენატო ქუისპეს 1.45 წუთში სუფთად მოუგო 10:0. მეორე წრეში აზერბაიჯანელ ახმედნაბი გვარზატილოვს დაუპირისპრდა და 8:2 სძლია. ბელარუს ვლადიმირ ანდრეევთან დაძაბული პაექრობა გამოდგა, მაგრამ მაინც გაიმარჯვა 4:0. მონღოლ ბეკბაიარ ერდენებატთან გორელი სპორტსმენი თავიდან 0:3 აგებდა, მაგრამ ჯერ წონასწორობა აღადგინა და მერე საწადელსაც მიაღწია – 6:3. ფინალში კორეელთან ხინჩეგაშვილი დაწინაურდა – 3:0, მაგრამ მეორე პერიოდში უფრო ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა და დაისაჯა კიდეც. საფინალო გონგამდე მსაჯებმაც დაუშვეს შეცდომა – ლადოს გდება არ ჩაუთვალეს, არბიტრმა ჩვენი მწვრთნელების მოთხოვნაც არ დაკმაყოფილა – აქაოდა, ჩელენჯი გვიან შემოაგდეთ ხალიჩაზეო, უფრო მეტიც – საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ რევაზ მინდორაშვილს ყვითელი ბარათი უჩვენა. ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ ხინჩეგაშვილმა გამარჯვებულის გამოვლენის ტრადიციულ რიტუალში მონაწილეობა არ მიიღო, არც მსაჯს ჩამოართვა ხელი, არც - მეტოქეს და ჩელენჯსაც ფეხი ამოჰკრა... ამგვარი საქციელის გამო, შესაძლოა, მას სასჯელიც არ ასცდეს. აღსანიშნავია ისიც, რომ 86 კილოგრამის ფინალში გაბრაზებულმა კუბელმა სალასმა რუსეთელ აბდულრაშიდ სადულაევს გამეტებით ჩასცხო თავში მუშტი. გვესმის, რომ სპორტსმენები არაობიექტურმა მსაჯობამ გააღიზიანა, მაგრამ მათს ამგვარ საქციელს გამართლება მაინც არ აქვს.

86 კილოში გამოდიოდა დავით მარსაგიშვილი, რომლისგანაც მედალს ველოდით. კარგი სტარტიც აიღო – ორი მეტოქე სამ წუთში დაამარცხა: ავსტრიელ დომინიკ ლაუს ეტერსონს 56 წამში (12:2), ჩინელ შენფენ ბის კი 2 წუთსა და 4 წამში (13:2) აჯობა. მეოთხედფინალში ყაზახეთის სახელით მოასპარეზე ასლან კახიძეს 7:0-ს უგებდა, მაგრამ საბოლოოდ 9:10 დამარცხდა და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან კახიძემ ნახევარფინალური პაექრობა დათმო და ჩვენებური დამამშვიდებელში ვერ გავიდა. სტარტზევე დაემშვიდობნენ ასპარეზობას გიორგი საკანდელიძე (მძიმე წონა) და ალექსანდრე ჯაჭვაძე (70 კგ). ზემოაღნიშნულ წონებში, კორეელის გარდა ჩემპიონები გახდნენ: ხეტაგ ცაბალოვი (რუსეთი, 70 კგ), აბდულრაშიდ სადულაევი (რუსეთი, 86 კგ) და ტაჰა აკგული (თურქეთი, 125 კგ). ამ წონაში ცნობილი რუსეთელი ფალავანი ჰაჯიმურატ გაცალოვი მესამე ადგილით დაკმაყოფილდა.

ლექსო ცინცაძე

◎ ვარაუდი

ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები – უეფას სუპერთასის შემდეგ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ დომენტი სიჭინავას უფლებამოსილება 2015 წლის 22 იანვარს ეწურება. მან უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ პრეზიდენტობაზე კენჭს აღარ იყრის. სიჭინავა პირველად 2009 წლის 1 ოქტომბერს გაპრეზიდენტდა, ხოლო მეორე ვადით – 2011 წლის 22 იანვარს.

არჩევნები 2015 წელს აუცილებლად შედგება, მაგრამ ჯერ უცნობია თარიღი. კითხვაზე, თუ როდის აირჩევენ ახალ პრეზიდენტს, ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ განაცხადა, რომ არჩევნების თარიღის განსაზღვრისთვის ფედერაციას ვადა დეკემბრამდე აქვს.

ამასობაში ცნობილი გახდა, რომ მომავალი არჩევნები დიდი ალბათობით 2015 წლის აგვისტოში, თბილისში უეფას სუპერთასის მატჩის გამართვის შემდეგ შედგება, ეს მატჩი კი ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ 11 აგვისტოს ჩატარდება.

ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა რევაზ არველაძეს, მიხეილ ყაველაშვილსა და ვლადიმერ გუცაევს სურთ. საფეხბურთო კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ დიდი ალბათობით თავის კანდიდატურას ლევან კობიაშვილიც წამოაყენებს.

ისე, ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის მხრიდან კარგი გათვლაა. უეფას სუპერთასის მატჩის წარმატებით მასპინძლობის შემთხვევაში ფედერაციის მოქმედ ჩინოვნიკს სხვებთან შედარებით გამარჯვების მეტი შანსი ექნება. მით უმეტეს, თუ არჩევნები ამჟამად არსებული წესდებით ჩატარდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩოგბურთი

ჩილიჩის ისტორიული გამარჯვება



ამერიკის ღია პირველობის ფინალში ხორვატმა მარინ ჩილიჩმა იაპონელი კეი ნიშიკორი საკმაოდ იოლად 6:3, 6:3, 6:3 დაამარცხა და კარიერაში პირველი დიდი სლემის ტიტული მოიგო.

2002 წელს ამერიკის ღია ჩემპიონატი რეიტინგში მე-17 ადგილზე მყოფმა ლეგენდარულმა პიტ სამპრასმა მოიგო და მას შემდეგ ხორვატი ათეულის მიღმა პირველი ჩოგბურთელია (მე-16), რომელმაც ამერიკაში იმარჯვა.

საერთოდაც, ჩილიჩი მეორე ხორვატი ჩოგბურთელია, რომელმაც დიდი სლემის ტურნირი მოიგო. ეს მანამდე მისმა ამჟამინდელმა მწვრთნელმა გორან ივანიშევიჩმა 2001 წელს უიმბლდონზე გამარჯვებით შეძლო.

ამ მოგებით ხორვატმა ჩოგბურთელმა 3 მილიონი დოლარი დაიმსახურა, ხოლო იაპონელ კეი ნიშიკორის ფინალში გასვლისთვის 1450000 დოლარი ერგო.

კობა კობახიძე

◎ კალათბურთი

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი 4 ქვეყანაში ჩატარდება

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი, რომელიც უკრაინაში უნდა გამართულიყო, 4 სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარდება. ევროპის ჩემპიონატის 4 ჯგუფი სათითაოდ ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ლატვიის დედაქალაქ რიგასა და საფრანგეთის ქალაქ მონპელიეში განაწილდება, ჩემპიონატის დასკვნით ნაწილს კი საფრანგეთის ქალაქი ლილი უმასპინძლებს, სადაც თავს ჯგუფებიდან გასული გუნდები მოიყრიან.

ეს გადაწყვეტილება მადრიდში, ფიბა-ევროპის მმართველი საბჭოს საგანგებო შეხვედრაზე მიიღეს. ცვლილებაა გათამაშების ფორმატშიც. ჯგუფში კვლავინდებურად 6 გუნდი იქნება, თუმცა მომდევნო ეტაპზე 4 საუკეთესო გავა. ამასთან, აღარ იქნება მეორე ჯგუფური ეტაპი და ჯგუფებიდან გასული 16 გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას მერვედფინალიდან გააგრძელებს.

ევრობასკეტის კენჭისყრა სავარაუდოდ იანვარში გაიმართება, რის შემდეგაც გაირკვევა, თუ რომელ ქვეყანაში ითამაშებს საქართველო, შესაბამისად, სხვა ნაკრებებიც. ევროპის ჩემპიონატის პლეი ოფის ყველა მატჩი ქალაქ ლილის პიერ მუროს სახელობის 27 000-იან დარბაზში გაიმართება.

„ესაა მნიშვნელოვანი მომენტი ევროპულ კალათბურთში – აღნიშნა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ფიბა-ევროპის პრეზიდენტმა თურგაი დემირელმა – ყველა

კანდიდატი ღირსეული იყო და რთული იყო მათ შორის არჩევანის გაკეთება. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა იმ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას, რომლებმაც ევრობასკეტის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს. თითოეულმა მათგანმა დიდი სამუშაო გასწია“.

ფიბა-ევროპის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ კომენტარი გააკეთა საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **მიხეილ გაბრიჩიძემ:** „საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ სად ჩატარდებოდა ევროპის ჩემპიონატი. რა გადაწყვეტილებაც მიიღეს, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო ევროპული კალათბურთისთვის, მისი წევრების დაახლოებისთვისა და განვითარებისთვის. როცა იქნება კენჭისყრა, მაშინ შევიტყობთ, თუ სად, რომელ ქვეყანაში მოგვიწევს ჯგუფურ ეტაპზე თამაში. თუკი ჯგუფიდან გავალთ და ჩვენს ნაკრებს ამის ამბიცია ნამდვილად ექნება, პლეი ოფის მატჩებს საფრანგეთის ქალაქ ლილში ვითამაშებთ“.

ევროპის 2015 წლის ჩემპიონატი 5-20 სექტემბერს გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

მორამ მესი დაიწუნა

არგენტინელი **მოდელი მაგალი მორა დარწმუნებულია, რომ არგენტინის საფეხბურთიო ნაკრები მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატზე აუცილებლად იპირველებს იმ შემთხვევაში, თუკი „ალბისელესტეს“ აღიარებული ლიდერი და კაპიტანი არა ლეო მესი, არამედ ვინმე სხვა იქნება.**

მაგალი მორა (რომელიც არგენტინის ნაკრების გარდა არგენტინული საფეხბურთო კლუბის „კოლონის“ თავგადაკლული ქომაგიცაა) ამბობს, რომ ლეო მესის ნიჭში ეჭვი არ ეპარება, მაგრამ მისი გაკაპიტნება დიდი შეცდომა იყო, რამეთუ მესის საჭირო ქარიზმის ნატამალიც კი არ გააჩნია.

როგორც ხედავთ, არგენტინა ის ქვეყანაა, სადაც მოდელებიც კი საფეხბურთო ექსპერტობაზე დებენ თავს და საქართველოსი არ იყოს, „ვერცხლის ქვეყანაშიც“ ყველა ფეხბურთის ამბების გარჩევაშია. მაგალი მორა ვითომ ვისზე ნაკლებია? ჭკუა დაეწუნება თუ ტან-ფეხი?!...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ წელს ქვემოთ

ავსტრალიელებს არასპორტულ ქცევაში ადანაშაულებენ

ფიბა-მ ავსტრალიის და ანგოლის საკალათბურთო ნაკრებთა მატჩთან დაკავშირებით სადისციპლინო გამოძიება დაიწყო. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ავსტრალიელებმა აფრიკელებთან მოულოდნელი მარცხი განიცადეს და ჯგუფში მე-3 ადგილი დაიკავეს, რის შედეგადაც ცნობილი გახდა, რომ უმთავრეს ფავორიტად მიჩნეულ აშშ-ს ეროვნულ გუნდს ნახევარფინალამდე არ შეხვდებოდნენ.

„აღნიშნულ მატჩში ავსტრალიელ კალათბურთელთა ქცევამ ქომაგების და ექსპერტების უკმაყოფილება გამოიწვია. მუსირებს აზრი, რომ ავსტრალიელებმა თამაში შეგნებულად დათმეს, რათა შედარებით იოლი სატურნირო გზა ჰქონოდათ. სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ, ავსტრალიის კალათბურთის ფედერაციას საშუალება ექნება საკუთარი პოზიცია გაგვიზიაროს“, – ნათქვამია ფიბა-ს ოფიციალურ განცხადებაში.

კობა კობახიძე

◎ ეს უნდა ვიცოდეთ

10 საშიში ნივთი, რომლებიც თქვენს სახლში ინახება

1. ჩრჩილის საწინააღმდეგო საშუალება — ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო ქიმიური საშუალება, რომელიც თქვენს სახლში ინახება.ხალხური მეთოდი როგორიცაა, ვთქვათ სიგარეტის ღერები, გერანის ფოთლები ან ფორთოხლის კანი მხოლოდ დააფრთხობს პეპელას, ხოლო ჭუპრებს ვერაფერს დააკლებს.

ნაფტალინი რამდენიმე წელია, მთელს მსოფლიოში აიკრძალა, თუმცა, ხანდახან მაინც გამოჩნდება ხოლმე დახლზე და ხალხიც ხარბად ესწრაფვის მის შეძენას.

ნაფტალინით მოწამვლა სავსებით რეალურია. მისი მტვერის ერთხელ შესუნთქვამაც კი შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა, თავის ტკივილი, გულისრევა და დიარეა.

ამერიკულმა გარემოს დაცვის სააგენტომ გამოაქვეყნა დასკვნა-ბიულეტენი, სადაც ნათქვამია, რომ ნაფტალინი კანცოგერია. იგი იწვევს სიმსივნეს ადამიანებში. ხანგრძლივად მისი გამოყენება სისხლის წითელი უჯრედების(ერითროციტების) დაშლას უწყობს ხელს

2. დაპრესილი ნახერხის ფიცარი — ე. წ. „დსპ“ — ძალიან გავრცელებული საყოფაცხოვრებო ავეჯი, რომელიც დსპ-სგან მზადდება. იგი შეიცავს ფოლმალდეგიდს, რომელიც უარყოფითად მოქმედებს თვალებზე და კანზე. იგიც კანცოგერია. ხანგრძლივად ფოლმალდეგიდის შესუნთქვა იწვევს ყელის კიბოს.

თუმცა, ერთი დადებითი თვისებას აქვს, თუ დიდი ხანია, „დსპ“-სგან დამზადებული ავეჯი სახლში გიდევთ, დროთა განმავლობაში ფოლმალდეგიდის გამოყოფა პრაქტიკულად აღარ ხდება.

3. სინთეტიკური ხალიჩები — ერთი შეხედვით ეფექტური, ნაირფერი ხასხასა ფერებით დამზადებული ხალიჩა გაჯერებულია უამრავი ქიმიური საღებავით, რაც უძილობას და ალერგიულ რეაქციებს იწვევს.

თუ მაინც გადაწყვიტეთ ყიდვა, საწოლ ოთახში ნუ გაშლით, ახალს მკვეთრი ლაქის მაგვარი სუნი აქვს. ცოტა ხანი მოიცადეთ, ასე ორიოდე კვირა, გქონდეთ გადახვეული... სუნის გასვლის შემდეგ ისეთ ადგილზე გაფინეთ, სადაც დიდხანს ყოფნა არ გიწევთ.

4. ლაზერული პრინტერები — უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს თქვენი ფილტვებისთვის, ვიდრე პასიური მოწევა.

საქმე იმაშია, რომ საბეჭდი პრინტერი ჰაერში ფანტავს საბეჭდი ფხვნილის ნაწილაკებს. შედეგი გაძნელებული სუნთქვა და ფილტვების ქრონიკული დაავადებაა.

5. პლასტიკური ბოთლები — მისი დამზადებისთვის გამოიყენება ბიფენოლი — ა, მეცნიერები უკვე დიდი ხანია, ეჭვის თვალით უყურებენ მას, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც გაირკვა, რომ სტრუქტურით იგი ძალიან წააგავს ქალის სქესობრივ ჰორმონს — ესტროგენს.

ცხოველებზე ექსპერიმენტების შედეგად გაირკვა, რომ ბიფენოლი ა, აჩქარებს სექსუალურ მომწიფებას, არღვევს ქცევის ნორმებს, აგრეთვე ხელს უწყობს პროსტატის და კუჭქვეშა ჯირკვლის სიმსივნეების განვითარებას.

არავითარ შემთხვევაში პლასტიკურ ბოთლში ან ჭიქაში არ ჩაასხათ ცხელი სასმელი ან არ გაათბოთ, მაგ დროს ბიფენოლის შემცველობა 55-ჯერ იზრდება.

6. ანტიაალებადი ნივთიერება — ანუ პოლიბრომირებული დიფენული ეთერი. თავიდან ეს ნივთიერება დიდი სიხარულით მიიღეს.

ამ ნივთიერებას იყენებენ ლეიბებზე, კომპიუტერებზე ტელევიზორებზე, ავეჯზე და სხვა... მართლაც უამრავი ადამიანი იხსნა აალებისგან და ხანძრისგან, თუმცა, მალევე გამოაშკარავდა მისი უარყოფითი თვისებები.

ლეიბები, რომელებიც ამ ნივთიერებით იყო გაჟღენთილი და მასზე ეძინათ, აღმოჩნდა, რომ ათასობით ადამიანს დაუზიანდა შიდა ორგანოები, დაერღვათ ძილის რეჟიმი.

ტოქსიკური ნივთიერება იწვევს ფარისებრი ჯირკვლის დაავადებას, სპერმის ხარისხს აუარესებს, ხოლო მეძუძურ დედებს ნივთიერება რძეში უგროვდებათ. ბევრი მკვლევარი მოითხოვს, რომ ანტიაალებადი ნივთიერების გამოყენება საბოლოოდ აიკრძალოს.

7. ფტალატები — გამოიყენება ბავშვების სათამაშოებში, საკვებ ბოთლებში, მოკლედ, სადაც საჭიროა რბილი პლასტიკი. აგრეთვე იგი გვხვდება ქალის და მამაკაცის კოსმეტიკურ საშუალებებში, როგორც იაფფასიან, აგრეთვე, ძვირ ნიმუშებში. ფტალატი გვხვდება აგრეთვე სექს-სათამაშოებში.

ამერიკელი და კანადელი მეცნიერები ირწმუნებიან, რომ ფტალატის მჟავა უარყოფიდად მოქმედებს მამაკაცის განვითარებაზე. ბიჭებში ასუსტებს მამაკაცური ჰორმონის, ტესტოსტერონის განვითარებას და იწვევს უშვილობას.

8. პესტიციდები — ხშირია ოჯახებში ან დაწესებულებებში, როდესაც ამ ქიმიური ნივთიერებით გვიწევს ბრძოლა ტარაკნების, ვირთხების, კოლოების, კალიების, სხვა მავნებლების წინააღმდეგ.

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორების დასკვნით, ის ადამიანები, რომლებიც უფრო ხშირად იყენებენ პესტიციდებს, 70%-ით მეტი შანსი აქვთ დაავადდნენ პარკინსონის დაავადებით. მოწამვლის დროს არ დაგავიწყდეთ რესპირატორის გაკეთება, შემდეგ კი სახლი კარგად გაანიავეთ.

9. ტყვიის შემცველი საღებავი — მრავალ ბინაში კედლები და კარი შეღებილია ტყვიის შემცველი საღებავით.თუ საღებავი არ იქერცლება, კიდევ არაფერი, მაგრამ, თუ დაიწყო საღებავმა დასკდომა, აქერცვლა, უკვე სახიფათოა ბინაში მცხოვრებთათვის.

შხამის მცირე დოზაც კი იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებას. პრობლემები შეგექმნებათ ტვინზე და თირკმელებზე.

თუ ხელმეორედ გსურთ კედლის გადაღებვა, ნუ იმოქმედებთ თვითნებურად, დაიქირავეთ პროფესიონალი, მან იცის ყველა ის ხერხი, თუ როგორ უნდა იმუშაოს უსაფრთხოდ.

10. ჰაერის გამწმენდი და საწმენდი საშუალებები — ხშირად ვიყენებთ სააბაზანოში ან ტუალეტში ჰაერის გამწმენდ აეროზოლებს. ტოქსინების შემცველობა მასში უზომოდ დიდია. ესაა ორი ქიმიური ნივთიერების ნაზავი: ეთილენგლიკოლი და ტერპენი.

ეთილენგლიკოლის შესუნთქვა ან მისი კანზე მოხვედრა სახიფათოა, ის იწვევს საერთო სისუსტეს, თავის ტკივილს, თავბრუსხვევას და გულის ცემის გახშირებას.

ტერპენი სახიფათო არაა, თუმცა, ოზონთან რეაქციის შემდგომ უკვე გამოყოფს შხამიან ნივთიერებას.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოხუმის სამშობიარო სახლის ყოფილი ექიმი, მეან-გინეკოლოგი, აფხაზეთის დამსახურებული ექიმი, აფხაზეთის ომის ქარცეცხლში გამოვლილი

ჟუჟუნა გალდავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქალბატონი ჟუჟუნა ომის შემდგომ წლებში მუშაობდა „ჩაჩავას კლინიკაში“, იყო მაღალი დონის პროფესიონალი და მიუხედავად გადატანილი ქარტეხილისა, ღირსეულად ასრულებდა თავის მოვალეობას და დაიმსახურა თანამშრომლების დიდი სიყვარული. ქალბატონ ჟუჟუნას სახელი მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარიამ ავალიშვილს დედის

სინუკი სხალაძის

გარდაცვალების გამო.

ზიზი ანთელავა, ვახტანგ, გიორგი, დალი ბერულავები, ლეო, გიორგი ჩიქავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სოხუმისა და მთელი აფხაზეთის კოლორიტი, ლეგენდარული ექიმი, მეან-გინეკოლოგი, უსათნოესი და უთვალსაჩინოესი ქალბატონი

ნათელა ხაჭომია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის საზოგადოების ღვაწლმოსილი წარმომადგენელი, საქართველოს და აფხაზეთის დამსახურებული ექიმი

ნათელა ხაჭომია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

განცხადება

2014 წლის 6 ნოემბერს, 13 საათზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში (მისამართი: ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქუჩა №73), გაიმართება 3 მვტ სიმძლავრის დებედა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალურ არხზე დერივაციული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში — ქ. მარნეული, შოთა რუსთაველის ქუჩა, №73;**
- **შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8(95) 59-52-55; 8(95) 28-75-60.**

საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღე.

შპს „ჰიდრო ჯორჯიას“ ადმინისტრაცია.

განცხადება

2014 წლის 6 ნოემბერს, 15 საათზე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქ. ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141), გაიმართება „კინტრიში ჰესის“ 35 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საჯარო განხილვა.

განსახილველი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის მიზანს წარმოადგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მშენებარე „კინტრიში ჰესის“ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის სახელმწიფო ენერგოსისტემაში ჩართვა.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ოფისში — ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4; ტელ: 571 045470;
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი №141;
- შპს „გამა კონსალტინგის“ ოფისში — ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №17ა. ტელ: 8 (95) 59-52-55; 8 (95) 28-75-60.

საზოგადოების მოსაზრებების წარმოდგენა შესაძლებელია 2014 წლის 20 ოქტომბრის 18 საათამდე.

შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ ადმინისტრაცია

◎ ბომონდი

სად სწავლობენ რუსეთის მმართველი ელიტის შვილები?

სათაურში გამოტანილ შეკითხვაზე თქვენი პასუხი სწორია — დასავლეთში!

მშობლები აგზავნიან თავიანთ შვილებს დასავლეთში, ყიდულობენ იქ საკუთრებას, აგზავნიან იქ ფულს და აქვთ ორმაგი მოქალაქეობაც...

ეს ყოველივე ხდება მარტივი მიზეზის გამო — მათ ეზიზღებათ რუსეთი, მისი ხალხი და მათ დიდი ხანია ჯვარი დაუსვეს ქვყანას, რომელსაც მართავენ, — მიაჩნია აიზენ ტაიჩოს, რომელმაც საიტზე opentown.org გამოაქვეყნა რუსეთის ხელისუფალთა შვილების სია, რომლებიც ცხოვრობენ დასავლეთში, პრაქტიკულად, მუდმივ საფუძველზე.

ვფიქრობთ, მკითხველებს ასევე დააინტერესებს გაიგონ, თუ სად მონახეს თავიანთი კუთხე რუსეთის ელიტის შვილებმა.

პრეზიდენტ ვ. პუტინის ოჯახი

პრეზიდენტის ოჯახის შესახებ ცოტა რამაა ცნობილი ოჯახის ცხოვრების დახურული წესის გათვალიწსინებით. ჰყავდა ცოლი, გაშორდა.

90-იან წლებში, ლენინგრადში დაბრუნებულმა პუტინმა თავისი ქალიშვილები გაგზავნა უკან გერმანიაში პრესტიჟულ გერმანულ გიმნაზიაში (მისი ფილიალი არის პეტერბურგში). 90-იანი წლების შუა პერიოდში დაბრუნდნენ რუსეთში და 1996 წელს გადავიდნენ მოსკოვში. მაგრამ აქ პრეზიდენტის ქალიშვილებს არ დაუტოვებიათ გერმანული გზა. მათი „მოსკოვის გერმანული სკოლა“ ამჟამად „საელჩოების ქალაქშია“ ვერნადსკის პროსპექტზე, შემოღობილში, ვიდეოკამერებით.

2000 წლის დასაწყისში პუტინის ქაიშვილები ოფიციალურად იყვნენ დარეგისტრირებული, როგორც სანკტ-პეტებრურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, მაგრამ ისინი იქ არავის უნახავს.

ცნობილია, რომ უმცროსი ეკატერინა მუდმივ საფუძველზე ცხოვრობს გერმანიაში, მიუნხენში.

2013 წელს გაიმართა კატერინა პუტინასა და კორეელი იუნ ჯუნის ქორწილი — მაროკოს ერთ-ერთ სასტუმროში.

უფროსი მარია ცხოვრობს ჰოლანდიაში, ქალაქ ჰოოტენში, ჰააგის მახლობლად. მარტო არაა, ცხოვრობს 33 წლის ჰოლანდიელ იორიტ ფაასენთან ერთად.

პუტინის ქალიშვილები ხშირად არიან იტალიაში სილვიო ბერლუსკონის მიწვევით, ვისთანაც პუტინი მეგობრობს ოჯახით.

პრემიერ-მინისტრ დ. ა. მედვედევის ოჯახი

მედვედევს ცოლად ჰყავს სვეტლანა ლინიკი, რომელიც არის ბიძაშვილი ე. ვასილევის, რომელიც გადის „ობორონსერვისის“ საქმეზე. თავად ვასილიევი არის პეტერბურგის ერთ-ერთი დანაშაულებრივი ავტორიტეტის — ვასილევის ქალიშვილი. პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა 2012 წლის იანვარში ის ღირსების ორდენით დააჯილდოვა.

მედვედევს ჰყავს ბიჭი ილია. ამჟამად ის მოსკოვში სწავლობს, მაგრამ საჯარო ინტერვიუში თქვა, რომ სწავლას ამერიკის შეერთებული შტატების მასაჩუსეტსის უნივერსიტეტში გააგრძელებს.

საგარეო საქმეთა მინისტრ ს. ლავროვის ოჯახი

საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვის ერთადერთი ქალიშვილი ეკატერინა ცხოვრობს და სწავლობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამჟამად ამთავრებს ნიუ-იორკში კოლუმბიის

უნივერსიტეტს და აპირებს დარჩეს ამერიკის შეერთებულ შტატებში საცხოვრებლად მუდმივ საფუძველზე.

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერ ს. ჟელეზნიაკის ოჯახი

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერი სერგეი ჟელეზნიაკის სამი ქალიშვილი უცხოეთში სწავლობს. ეკატერინა — ელიტურ შვეიცარიულ სკოლაში (სწავლება 6-დან მე-12 კლასამდე 2,4 მილიონი რუბლი ღირს წელიწადში), ანასტასია — ლონდონში, უნივერსიტეტში (სწავლის ფასი წელიწადში — დაახლოებით 630 ათასი რუბლი). ყველაზე უმცროსი ლიზა, ამ დროისთვის ლონდონში ცხოვრობს.

საინტერესოა, რომ „პატრიოტმა მეზღვაურმა“ ჟელეზნიაკმა შემოსავლის დეკლარაციაში შემოსავალი მიუთითა 3,5 მილიონი რუბლის ოდენობით და ამ დროს თავისი ბავშვების სწავლებისათვის დასავლეთის სასწავლებლებში 11 მილიონ რუბლს იხდის...

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერის ა. ჟუკოვის ოჯახი

შვილი — პიოტრ ჟუკოვი სწავლობდა ლონდონში, სადაც ციხეშიც კი მოხვდა. უმცროსი ჟუკოვი მონაწილეობას ღებულობდა ლოთების ჩხუბში და 14 თვის ციხეც დაიმსახურა.

ფრაქცია „ედინაია როსიასაგან“ სახელმწიფო დუმის დეპუტატის ა. რემეზკოვის ოჯახი

უფროსმა შვილმა სტეპანმა ამ ცოტა ხნის წინათ დაამთავრა პენსილვანიაში ველი ფორჯის მილიტერ-კოლეჯი (ერთი წლის სწავლება 1 295761 მილიონი რუბლი ღირს). დეპუტატის შვილი სწავლობდა ამერიკის შეერთებული შტატების ოფიცერთა პროგრამით(III). შემდეგ სტიოპა შევიდა ნიუ-იორკის შტატის ჰემპსტედში ჰოფსტრის უნივერსიტეტში.

დეპუტატის მეორე შვილი ნიკოლაი 2008 წლიდან სწავლობს დიდ ბრიტანეთში მელვერნ კოლეჯის კერძო სკოლაში.

უმცროსი ქალიშვილი ცხოვრობს ვენაში, სადაც ვარჯიშობს ტანვარჯიშში. მაშა რემეზკოვა ლუბლიანაში საბავშვო შეჯიბრებაზე ავსტრიის ნაკრების სახელით გამოდიოდა.

დეპუტატ ვ. ფეტისოვის ოჯახი

ქალიშვილი ანასტასია გაიზარდა და სწავლობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. რუსულად წერა და კითხვა ნასტიამ მაინც ვერ ისწავლა.

რუსეთის ფედერაციის კომუნისტური პარტიიდან სახელმწიფო დუმის წევრის ა. ვორონცოვის ოჯახი

კომუნისტ ვორონცოვის ქალიშვილი ანა იტალიაში ცხოვრობს. იქ ის საცხოვრებლად გადავიდა გერმანიიდან, სადაც ასევე სწავლობდა. ამჟამად მილანის უნივერსიტეტში სწავლობს.

თავად ვორონცოვი (რა გვარია!) დღე და ღამ დასავლეთს „დედას უტირებს“, არადა, ამ დროს ასობით ათას ევროს იხდის ქალიშვილის სწავლებისათვის მილანში.

(გვინდა აუცილებლად ავღნიშნოთ, რომ სია მნიშვნელოვნადაა შეკვეცილი — რედ.).

◎ ინფორმაცია

აუცილებელია ბავშვების ვაქცინაცია

როგორც დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის განცხადებაშია ნათქვამი, გადამდები დაავადებების აფეთქების ან ფართოდ გავრცელების, ასევე ეპიდემიის დაწყების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფმა ყველა ადამიანმა უნდა ჩაიტაროს ვაქცინაცია სამედიცინო უკუჩვენებების არარსებობის შემთხვევაში.

„ეს აუცილებელია როგორც საკუთარი, ასევე სხვა პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნულიდან გამომდინარე, წითელას მიმდინარე ეპიდაფეთქების პრევენციის მიზნით საქართველოში სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებების ხელმძღვანელებს გთხოვთ, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებისდაგვარად უზრუნველყოთ: მონაცემების გადამოწმება ასაკობრივად ჩატარებული პროფილაქტიკური აცრების შესახებ; ეპიდჩვენებით აცრების ჩატარების, ეპიდემიური აფეთქებების და/ან ეპიდემიების დროს მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიოთ ტერიტორიულ რაიონულ-მუნიციპალურ საზოგადოებრივი ჯანდაცის ცენტრებს საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში ვაქცინაციისა და სხვა აუცილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებების გასატარებლად მშობლებს გთხოვთ, გადაამოწმოთ ბავშვის ვაქცინაციის სტატუსი და ასაკის შესაბამისი აცრები ჩაუტაროთ თქვენს შვილებს სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში; ასევე დროულად წარადგინოთ აცრების შესახებ სათანადო ინფორმაცია საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში მოთხოვნის შესაბამისად სასწავლო პროცესის დაწყებამდე“, — აღნიშნულია განცხადებაში.

◎ კადრი



რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— შენ ჩემს ცოლთან წოლილხარ! ამისთვის გადახდა მოგიწევს, იცოდე!

— ბებიაშენისამ, მე ორჯერ არ ვიხდი!

* * *

— შენი ტყუპების ფოტო გაქვს?

— კი, აი, ნახე!

— მაგრამ ამ ფოტოზე მარტო ერთი ბავშვია!

— საკმარისია. მეორე ზუსტად ამის ასლია.

* * *

— ეძიმო, რა მემართება? ყოველ დილით, როცა სარკეში ვიყურები, გულის რევის შეგრძნება მაქვს.

— არ ვიცი, ჩემო კარგო... მაგრამ მხედველობა, ვგონებ, ნორმალური გაქვთ.

* * *

სადილობისას მიხო მამას ეუბნება:

— მამი, შენს...

— ხომ გითხარი, ჭამისას ყრუ და მუნჯი ვარ-მეთქი! გაჩუმდი, სადილის მერე მითხარი სათქმელი.

— აბა, რისი თქმა გინდოდა? — ეკითხება მამა მიხოს ნასადილევს.

— ახლა გვიანია, მამი, შენს სუფში ბუზი დაცურავდა.

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონის ქუჩა) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24